საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

სამშაბათი, 30 ნოემბერი 1920 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთობა

ფასი 15 მანეთი

გაზეთი ღირს თვეში 375 მანეთი. ცალკე ნომერი ღირს 15 მანეთი განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 20 მანეთი. მეოთხე გვერდზე 15 მანეთი. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის (10 × 2) 500 მანეთი. [illegible] განცხადება [illegible] რედაქციაში და კანტორაში მიიღება ერთობის ქ. № 4. შესახვევი რუსთაველის ქუჩის № 18-თან კანტორის ტელეფონი 16—62 რედაქციის 14—76

№ 273 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 273

საქართველოს სოც.-დემ მუშათა პარტიის
ცენტრალური კომიტეტი
მოთავსებულია ერთობის ქ. № 4. მესამე სართული
შესახვევი რუსთაველის ქუჩიდან № 18, ტელ. 11—79.

იბეჭდება და ამ დღეებში გასაყიდათ გამოვა
კარლ კაუცკის ახალი წიგნი
სოციალიზმის პრობლემები და პერსპექტივები
საქართველოში
თარგმანი გერმანულ ხელნაწერიდან
გამოცემა ს. ს.-დ. მ. პ. ცენტ. კომიტეტისა.
წიგნი ღირს 70 მ. წიგნების შეძენა შეიძლება გაზ. „ერთობის“ კანტორაში.

იყიდება
მანდარინები ხელმისაწვდომ ფასებში ყუთებით
მიწათ-მოქმედების სამინისტროს მაღაზიაში
რუსთაველის პროსპექტი № 24.
(ნ. 4—3)

სახალხო განათლების სამინისტრო აცხადებს რომ
ა. წ. დეკემბრის პირველ რიცხვებში სოხუმის ახლოს (12 ვერსი) გაიხსნება
სახელმწიფო სანატორიუმი
„გულრიფში“
სადაც მიიღებიან ფილტვებით ავადმყოფნი. სანატორიუმში 50 საწოლი განკუთვნილია სახელმწიფო მუშა მოსამსახურეთათვის, ხოლო მეორე 50 საწოლი დაეთმობათ კერძო პირთ. პირველნი იხდიან თვეში 12 ათას მანეთს, კერძონი კი 40 ათას მანეთს. ფასი ორი თვისა წინდაწინვე ერთად უნდა იქმნას შეტანილი. ცნობებისათვის და თხოვნებით სანატორიუმში მოთავსების მსურველთ უნდა მიმართონ განათლების სამინისტროს. (ნ. 3—2)

სახელმწიფო დრამის თეატრი
(ყოფილი არტისტ.—რუსთ. პრ. № 21, ტელ. 8—07)
ქართული დრამის სეზონი 1920—1921 წ.
დღეს, ნოემბრის 30-ს მესამეჯერ
უგვირგვინო მეფენი
კვირისათვის აღებული ბილეთები გამოდგება დღეისათვის.
დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
ხუთშაბათს, დეკემბრის 2- მეორეჯერ
ზღვასთან
შაბათს, დეკემბრის 4-ს პირველად ქართულ სცენაზე ორიგინალური ტრაგედია
გერდო-ზმანია
ალ. შანშიაშვილისა.
მუსიკა დ. არაყიშვილისა. ბალეტი და ხორო. ახალი დეკორაციები და კოსტიუმები ნახატვრის ვალ. სიდამონ-ერისთავისა. რეჟისორი ალ. ახმეტელი.
(ნ. 1—1)

სახელმწ. თეატრი
სამშაბათს 28 ნოემბერს
მარგალიტის მაძიებელნი
ოთხშაბათს 1 დეკემბერს სიმფონიური კონცერტი. ბოროვსკი და ბელოუსოვის მონაწილეობით. ხუთშაბათს 2 დეკემბერს ბალეტის საღამო მორდკინისა ჟიზელი. პარასკევს 3 დეკემბერს ქართულ ენაზე ოპერა „ღალატი“. დასაწყისი საღამოს 8 საათზე. (ნ. 1—1)

მეორე ქართული კლუბი
დღეს, სამშაბათს
სინემატოგრაფი
დასაწყისი სრულ 8 საათზე საღამოს. (ნ. 1—1)

კომუნისტების დიპლომატია

მკითხველებს ახსოვთ ჩიჩერინის ნოტა ბათომის შესახებ. ამ მოქალაქეს მიუღია ცნობები, რომ საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ დგება ახალი ფრონტი და მისი აზრით ერთი ნაწილი ამ ფრონტის იქნება ბათომში. ჩიჩერინი მიმართავს ზეცას და ქვესკნელს, რომ ასეთი უბედურება არ დაატყდეს საბჭოთა რუსეთს. რამ გამოიწვია ეს ნოტა, რა საბუთები ჰქონდა ჩიჩერინს?

ვრანგელის დამარცხების გამო მოსკოვის მთავრობამ აუწყა ქვეყანას, რომ მოხალისეთა ჯარები განადგურებული და ტყვედ წაყვანილია. დღეს ირკვევა, რომ ეს სავსებით მართალი არ არის. თუმც ყირიმი გაიწმინდა კონტრ-რევოლიუციონურ ჯარებისაგან, დიდი ნაწილი დამარცხებული ძალების მოკავშირეთა შემწეობით გაყვანილ იქნა სამშვიდობოზედ. კონსტანტინოპოლისკენ წავიდა ვრანგელის სამხედრო ფლოტიც.

შეიძლება ჩიჩერინმა იფიქრა, რომ ამ გაქცეულ ჯარების თავშესაფარად გახდებოდა ბათომის მიდამოები? ამის საბუთები მას, რასაკვირველია, არ ჰქონდა. მაგრამ დაშინებულ კაცს ყველგან მტრები ელანდება. გუშინდელ გაზეთებში გამოქვეყნებულ ცნობებიდან ჩვენ ვიცით, რომ ჩიჩერინის აზრით, ახალი ფრონტი ვრანგელისტებისაგან დგება არა ბათომში, არამედ რუმინიაში. შესაფერი ნოტა—პროტესტით მიმართეს როგორც კრასინმა, ისე ჩიჩერინმა რუმინიის მთავრობას. ჩვენ შეგვიძლიან მოველოდეთ ჩიჩერინისაგან ახალ პროტესტს იაპონიის მთავრობის წინააღმდეგ. ჩიჩერინს შეუძლიან იფიქროს, რომ შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკაში დგება ახალი ფრონტი, ეს ადვილად შესაძლებელია. ვრანგელის ჯარებს ვლადივოსტოკში გადაიყვანენ, იმპერიალისტები ახალ საომარ მასალას მისცემენ, ჩააცმენ და დაახურავენ და სემიონოვის დაშლილ რაზმებს შეუერთებენ. მოქალაქე ჩიჩერინს ჰქონდა ყველა საბუთები ეფიქრნა ორმოც ახალ ფრონტზედ, გარდა ბათომის ფრონტისა. ჩიჩერინის აზრით, ინგლისი ფიქრობს ბათომის აღებას. სამხედრო გემები თურმე მზათ არიან მოქმედებისათვის. ეს ჩიჩერინის მიერ არის გამოგონილი, და ამ გამოგონებას განსაზღვრული მიზანი აქვს. ჩიჩერინმა იცის, რომ ინგლისის ფლოტი ბათომს არ ემუქრება. სხვას რომ თავი დავანებოთ, ნუ თუ არ იცის მოსკოვის მთავრობამ, რომ მისი მოსისხლე მტრების ძლიერი ფლოტი პეტროგრადს არ შესევია. ხომ აშკარაა ყველასათვის, რომ ამ ქალაქის აღება მოკავშირეებს სულ ადვილად შეუძლიათ? ჩიჩერინი ეუბნება რუსეთის ხალხს, რომ ამის ნებას არ აძლევენ იმპერიალისტებს ევროპის მუშები და მათი ინტერესთა წინააღმდეგობა. თუ ეს მართალია პეტროგრადისთვის, რატომ არ არის მართალი ეს ახსნა-განმარტება ბათომისთვის? ჩიჩერინმა ისიც იცის, რომ ბათომს თავდადებული დამცველები ჰყავს საქართველოს დემოკრატიის სახით. მაგრამ ის მაინც ნოტებს სწერს და ამ ნოტებს აქვს პროვოკაციული ხასიათი. ჩიჩერინს უნდა არევ-დარევა შეიტანოს საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში, რომელიც სიმპატიით ეპყრობა ჩვენს რესპუბლიკას და დღეს მას აქტიურად ეხმარება. რაღაც უმგვანო კომბინაციების გამოგონებით, რომელიც ჩიჩერინის მზაკრული პოლიტიკის ნაყოფია, სურს მას დაარწმუნოს ევროპის მუშები, რომ რესპუბლიკის ტერიტორიაზედ ახალი გამოსვლა მზადდება საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ, და არევ-დარევა შეიტანოს იმ მწყობრ გამოსვლებში, რომელსაც ახდენენ ევროპის მუშები ჩვენი დემოკრატიის სასარგებლოდ. ჩვენი მთავრობის ვალია შესაფერი პასუხი გასცეს ჩიჩერინის გამოსვლებს. თუ ვინმე ემუქრება ბათომს, ეს არის ჩიჩერინის მოკავშირე ფაშები. დღეს სხვა საფრთხეზე ლაპარაკი ზედმეტია. ხომ არ ფიქრობს ჩიჩერინი განიმეოროს ნაცადი საშუალება, როდესაც მისი გზა-აბნეული მიმდევრები არწმუნებდენ საქართველოს მშრომელ ხალხს, რომ ბათომის საფრთხე ბრესტ ლიტოვსკის შემდეგ მოგონილიაო. დღეს ასეთი ოინებით ფონზედ გასვლა შეუძლებელია. საქართველოს დემოკრატიამ მშვენივრად იცის, თუ ვინ ემუქრება მას. იცის ეს საერთაშორისო დემოკრატიამაც. თვით ჩიჩერინმაც იცის, რომ ბათომიდან მას არავინ ემუქრება. უმჯობესია იფიქროს სხვა ფრონტებზედ, რომელიც შესაძლებელია საბჭოთა რუსეთს გაუჩნდეს ახლო მომავალში. ამ ფრონტის გაჩენაში საქართველოს რესპუბლიკა, რასაკვირველია, არაფერ მონაწილეობას არ მიიღებს, როგორც არ იღებდა დღემდის.

საქართველოდან დაბრუნებული სოციალისტები

II

(წერილი ლონდონიდან).

საქართველოდან დაბრუნებული ინგლისელი სოციალისტები აღფრთოვანებულნი არიან საქართველოს ბუნებით, ქართველი ხალხით, რესპუბლიკის წესრიგიანობით და განვითარების იმ დონით, რომელზეც საქართველოს მიუღწევია. ჩვენ უკვე გავაცანით ჩვენს მკითხველებს ის აზრი, რომელიც იმათ თავის საუბარში გამოსთქვეს ინგლისურ გაზეთების კორესპონდენტებთან. თითქმის მთელმა ინგლისურმა პრესამ მოათავსა ეს საუბარი, მართალია ზოგიერთმა გაზეთმა მოკლეთ, მაგრამ მაინც. ამ ფრიად ფართო ინტერვიუს გარდა ინგლისელი სოციალისტები ფართო აგიტაციას აწარმოებენ საქართველოს შესახებ, როგორც სოციალისტურ კრებებზე, საერთო ჩვეულებრივ მიტინგებზე, ისე ლიბერალურ წრეებშიაც. მათ დღემდე უკვე დაბეჭდეს შვიდი წერილი სხვადასხვა ინგლისურ გაზეთებში და ჟურნალში, აპირებენ კვლავ განაგრძონ ასეთი მუშაობა და გააცნონ საქართველო ინგლისის დემოკრატიას. ბ. რამზეი მაკდონალდის წერილს საქართველოს შესახებ უკვე იცნობს ჩვენი მკითხველი; ასეთივე შინაარსისაა სხვა წერილებიც, როგორც მისი, ისე მისის სნოუდენისა. ინგლისელი სოციალისტები ამბობენ: საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის საკითხი ჩვენი საკითხი არის; ჩვენ უნდა მოვითხოვოთ საქართველოს იურიდიულათ ცნობა და ვ მუშაობთ ამ მიმართულებით. და მართლაც მუშაობენ ისინი ამ მიმართულებით და ევგენი გეგეჭკორს, რომელიც ამ ხანათ ლონდონში იმყოფება, დიდ დახმარებას უწევენ. მეორე მხრივ, ბელგიელი სოციალისტებიც აღფრთოვანებულნი არიან საქართველოს რესპ.; არ ჩამორჩენ ისინი ინგლისელ სოციალისტებს და როგორც ნამდვილი წყაროდან ვიცით, ისინიც ფართო მუშაობას ეწევიან. ვანდერველდე და ჰუისმანსი არ კმაყოფილდებიან მით, რომ საქართველოს შესახებ ჰოლანდიურ და ბელგიის გაზეთებში წერილებს ათავსებენ. ამას გარდა, ისინი დადიან ბელგიის სხვადასხვა პროვინციებში და საქართველოს შესახებ მოხსენებებს კითხულობენ. როგორც გადმოგვცემენ, მათ უკვე ჰქონიათ მოლაპარაკება ბელგიის მთავრობასთან საქართველოს იურიდიულათ ცნობის შესახებ.

ფრანგი სოციალისტებიც ასეთივე აზრისანი არიან საქართველოს შესახებ. დღევანდელ გაზეთში (29 ოქტომბერი) მოთავსებულია შემდეგი ამბავი. „სოციალისტური ცხოვრების“ ჯგუფმა განიხილა საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი. ბ. რენოდელის წინადადებით გადაწყდა: მიღებულ იქნას ყოველი ზომა საქართველოს დასაცავად როგორც ბოლშევიკების, ისე ოსმალო ნაციონალისტებისაგან. ამასთანავე აღძრულ იქნას შუამდგომლობა ანტანტის წინაშე საქართველოს იურიდიულათ ცნობის შესახებ“.

ასეთი არის, მოკლეთ, სამივე ქვეყნის სოციალისტების დამოკიდებულება საქართველოსადმი.

ხალხი, რომელიც საუკუნეებით არ იცნობდა საქართველოს, რომელსაც მხოლოდ „რაღაც“ გაეგონა საქართველოს შესახებ, დღეს თავგამოდებით იცავს მას, ლაპარაკობს მის შესახებ და ცდილობს სხვებსაც გააცნოს იგი.

საქართველოში სოციალისტების ჩასვლას ჩვენ პირადათ დიდ მნიშვნელობას ვაძლევდით, მაგრამ თუ ეს ჩასვლა ასეთ უდიდეს ნაყოფს გამოიღებდა, ეს მაინც საეჭვოთ გვეგონა. ვერავითარი სხვა ორგანიზაცია ვერ მოუწყობდა საქართველოს იმ პროპაგანდას, რომელიც დღეს სოციალისტების მეოხებით სწარმოებს.

საქართველომ, მისმა ხალხმა, მისმა კულტურამ, რომელიც მათ ნახეს საქართველოში, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მათზე; მაგრამ ამასთან ვე მათ ნახეს ჩვენი სიღარიბეც. და მართალი არის მათი საყვედური ამის გამო. და მართალი არის მათი შენიშვნაც იმის შესახებ, რომ ჩვენ რვა საათის მაგივრათ თექვსმეტი საათი უნდა ვიმუშაოთ, რათა ეს წარმტაცი ქვეყანა და ხალხი დიდებულ მომავალს დაუახლოვდეს. ამ შენიშვნას ანგარიში უნდა გაუწიოს თვითეულმა მოქალაქემ, მთელმა საქართველომ.

მიქელ ნოზაძე.

ლონდონი, 29 ოქტომბერი.

ქართველი მუსულმანები და მისი დემოკრატია

VII

მეჯლისი და ავტონომია.

ამ წერილში ჩვენ გვინდა შევეხოთ სამაჰმადიანო საქართველოს ადგილობრივ მმართველობის საკითხს. უნდა აღინიშნოს, რომ ამ საკითხის ფარგლებში ბევრი ლაპარაკი არსებობდა და არსებობს დღესაც. ჩვენ აქ შევეხებით ამ საკითხში არსებულ სხვადასხვა შეხედულებებს.

ამ საკითხში სამი აზრი არსებობს. ერთნი მოითხოვენ ავტონომიურ მმართველობის შემოღებას; მეორენი—ერობას; ხოლო მესამენი—„status quo“-ს დატოვებას (მდგომარეობა, როგორიც ძველათ არსებობდა). როდესაც ავტონომიაზე ვლაპარაკობთ, ჩვენ სახეში გვყავს ისეთი ავტონომისტები, რომლებსაც ავტონომია სერიოზულათ და გულწრფელათ მიაჩნდათ ხალხის კეთილდღეობის უზრუნველმყოფ საშუალებათ.

ეს ავტონომისტები ამბობენ: ჩვენ ისტორიის მსვლელობაში დავტოვეთ ქრისტიანული ორიენტაცია და მივიღეთ ისლამური ორიენტაცია. გარდა ამისა ჩვენი ძმები-ქართველები რუსეთის, როგორც ქრისტიანულ სახელმწიფოს კულტურის გავლენის ქვეშ იყვნენ; ჩვენ კი—ოსმალეთის, ისლამურ ქვეყნის კულტურის გავლენის ქვეშ. დასახელებულ გარემოებამ ორ ძმებს შორის სარწმუნოებრივათ სრული, კულტურულათ ნაწილობრივი, ასეთი თუ ისეთი გათიშვა მოახდინა. ამიტომ ჩვენ ვიყავით ერთი ევოლიუციისა და გონებრივ განვითარების გავლენის ქვეშ, ხოლო ისინი (ქრისტიანი ქართველები) სხვაგვარ ევოლიუციისა და გონებრივ განვითარების გავლენის ქვეშ იყვნენ. ამიტომ ავტონომია არის ერთად ერთი გზა, რომელსაც შეუძლია ქართველი მუსულმანები დაუკავშიროს, დაუახლოვოს როგორც კულტურის ჯგუფს (ქართული კულტურა), ისე ცივილიზაციის ჯგუფსაც.

ერობის მომხრენი აღიარებენ, რომ ისტორიულ ფაქტორების გავლენით დასახელებული გათიშვა მართლაც მოხდა. მაგრამ ისინი კულტურისა და ცივილიზაციის ჯგუფებთან დასაახლოვებლათ ავტონომიის საჭიროებას უარყოფენ და ამბობენ: რადგანაც ჩვენში არსებობს ბრძოლა დემოკრატიულსა და არისტოკრატიულ წრეებს შორის, რომელიც, ჩვენ ვიცით, ევოლიუციის ძალით დემოკრატიის გამარჯვებით უნდა დასრულდეს, ხოლო დღეს დემოკრატიის ბატონობა ფაქტი არ არის,—ამიტომ დღევანდელ პირობებში ავტონომიის შემოღება ძალა-უფლებას ისევ ზემო წრეებს დაუტოვებს, ხოლო დემოკრატია ისევ დაშონებული და დაბეჩავებული დარჩება. როგორი ფორმითაც არ უნდა იქნეს შემოღებული,—ავტონომია პოლიტიკურ დეცენტრალიზაციას ნიშნავს (décentralisation politique; ამიტომ თუ იგი შემოღებული იქნება,—ამით სამაჰმადიანო საქართველოში შესუსტდება ძმა-ქართველ დემოკრატიის გავლენა სამუსლიმანო საქართველოს დემოკრატიაზე. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ზემო წრეები ყოველთვის ცდილობენ ხალხი ჩამოაცილონ კულტურასა და ცივილიზაციას. ამიტომ უსაფუძვლოა მტკიცება იმისი, თითქოს ავტონომიის გზით დემოკრატიის დაახლოვება მოხდება კულტურისა და ცივილიზაციის ჯგუფებთან. გარდა ამისა ჩვენ ვიცით, რომ ზემო წრეებში სხვადასხვა მიზეზების გამო არსებობს წინააღმდეგობა; აქედან დაიბადება ბევრი ინტრიგები და დემოკრატია ამ ინტრიგების გავლენის ქვეშ დარჩება, როგორც ეს ხდებოდა ამ უკანასკნელ ორი წლის განმავლობაში (სხვადასხვა საბჭოების არსებობა და მიმზიდველობა ხან ინგლისისაკენ, ხან დენიკინელებისაკენ, ოსმალეთისაკენ, ადერბეიჯანისაკენ, ბოლშევიკებისაკენ და სხვა). ამ ინტრიგების წყალობით საფრთხეში ჩავარდება არა მარტო ქართველი მუსულმანი დემოკრატია;—საფრთხე მოელის მთელ საქართველოსაც. გარდა ყველა ზემო დასახელებულისა ერობის მომხრეებს უაზრობათ მიაჩნიათ ავტონომია მაშინ, როდესაც საქმე ეხება ერთი და იმავე ერის წარმომადგენლებს. ამასთანავე უნდა აღინიშნოს ისიც რომ ავტონომიის განხორციელება ფაქტიურათ შეუძლებელია, ვინაიდან არც ადგილობრივი ელემენტები არიან მომზადებულნი ამისთვის და არც ეკონომიკა და ფინანსები იძლევიან საშუალებას ასეთ ორგანოს შესანახავათ. ერობა კი, მათის აზრით, როგორც ერთნაირი ადმინისტრატიული დეცენტრალიზაცია (décentralisation administrative) მისცემს ხალხს იმ უფლებებს, რასაც იგი ითხოვს. ადგილობრივი საქმეები ადგილობრივათ არჩეულ პირების საშუალებით იქნება მოგვარებული; ავტონომია კი არა,—თუ ერობის მოწყობა შევძლეთ და გამოვიყენეთ ის უფლებები, რასაც იგი იძლევა,—ესეც ჩვენთვის დიდი ბედნიერება იქნება.

„Status quo“-ს მომხრენი ამბობენ, რომ საჭიროა აჭარაში დარჩეს ის უფლებები, რაც მისთვის მეფის მთავრობას მიუციაო. რასაკვირველია, ასეთ მოთხოვნილებას არავითარი პოლიტიკური ღირებულება არა აქვს. მთავრობა ვალდებულია მოახდოს თავისი კულტურული და ცივილიზაციის საკეთილდღეო მოვალეობა თავის ძმების წინაშე და შეუძლებელია მან მიიღოს ისეთი მეთოდები, როგორსაც იმპერიალისტური მთავრობები მიმართავდენ. აქ საკითხი იმაში კი არ არის, თუ როგორ გავაჩუმოთ ქართველი მუსულმანები, როგორ განაგრძონ მათ ძველებური ძილი. საქმე სწორედ იმაშია, თუ როგორ გამოვიყვანოთ ისინი ამ ძილიდან და თავის ძმებთან ერთად დავაყენოთ პროგრესისა და წინსვლის გზაზე.

ასეთი შეხედულებები არსებობს ამ საკითხის გარშემო სამუსლიმანო საქართველოს მოღვაწეებში. რომელ შეხედულებას უფრო მეტი გავლენა აქვს ხალხში, ეს ჯერჯერობით გამორკვეული არ არის. ზოგიერთები დარწმუნებულნი არიან, რომ თუ ავტონომიური თვითმართველობა იქნება შემოღებული დემოკრატიულ ნიადაგზე, მაშინ არც უთანხმოებას ექნება ალაგი და მომავალში ყოველგვარი საფრთხეც თავიდან იქნება აცილებული. დამფუძნებელ კრების 5 ნოემბრის სხდომაზე მიღებულ რეზოლიუციაშიაც ნათქვამია, რომ „გავლის საფრთხე და .. განხორციელებული იქნება მმართველობის დემოკრატიული წესი ავტონომიურ ნიადაგზეო“. წინათ მეც ასეთ შეხედულებას ვიზიარებდი და ამის მიხედვით ვმუშაობდი ბათომში. მაგრამ იყო ისეთი მოვლენები როგორც შეერთებამდე, ისე შეერთების შემდეგაც, რომლებმაც მე დამარწმუნეს, რომ ასეთი გეგმის განხორციელება არ არის შესაძლებელი. ჩვენ ლაპარაკი გვქონდა ხალხის იმ ნაწილებთან, რომლებიც ავტონომიის მომხრეობას იჩენენ და გამოირკვა, რომ ისინი ამ საკითხში მხოლოდ სკოლისა და სარწმუნოების საქმეებს ჰგულისხმობენ. ქართველ მუსულმანებს მხოლოდ ეს ორი საკითხი აინტერესებთ. რომ სამაჰმადიანო საქართველოს დემოკრატიას სათანადო შეგნება ჰქონებოდა, რომ ეს ორი საკითხი არ იდგეს ხალხში ასე მწვავე სახით, მაშინ ჩემის აზრით, ამდენ ხმაურობასაც არ ექნებოდა ალაგი და ავტონომიის კლიენტებათაც მხოლოდ ბეგები და ბეგები იქნებოდენ.

ამიტომ შემდეგ წერილებში მე შევეცდები გავაცნო მკითხველებს ჩემი აზრი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოწესრიგდეს ეს ორი საკითხი, რომელსაც ასე არსებითი მნიშვნელობა აქვს ქართველ მუსულმან დემოკრატიისათვის.

თემხინ ხიმშიაშვილი.

გერმანიის სოც.-დემ. პარტიის ყრილობა კასელში

შეიდემანის სიტყვა.

იმ დროს, როდესაც ჰალლეში გაიხსნა გერმანიის დამოუკიდებელთა ყრილობა,—კასელში მუშაობდა გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის (მეუმრავლესეთა) ყრილობა. ყრილობა გაიხსნა შეიდემანის სიტყვით, სხვათა შორის, მან სთქვა: ომის გამო შესუსტებული ჩვენი რიგები ახალ ძალების შემატების გამო კვლავ შეკავშირდა და გაძლიერდა. ჩვენ კვლავ ვრჩებით გერმანიის უძლიერეს პარტიად, რომელსაც მშრომელმა მასებმა მიანდვეს თავისი ბედი. ეს გვახალისებს ჩვენ, რადგანაც ჩვენი პარტიის ორგანიზაციულ წარმატებაში ჩვენ ვხედავთ ჩვენი ხალხის დაუშრეტელ სასიცოცხლო ძალას; ჩვენი ხალხი თავისი დაუღალავი მუშაობით კაცობრიობის დემოკრატიულ და სოციალისტურ პროგრესის სასარგებლოთ კვლავ დაიკავებს თავის ძველ ადგილს ხალხთა შორის.

საშინელმა ომმა და აუტანელად მძიმე ზავმა ჩაგვაგდეს ჩვენ უფსკრულში და არავის არ შეუძლია სწორეთ განსაზღვროს ის მანძილი, რომელიც გვაშორებს ჩვენ უკეთეს მომავალს. ჩვენთვის ყველაზე უფრო სახიფათოა ილიუზიები, ყველაზე უფრო საჭიროა სალი შეგნება სინამდვილისა. ისტორია სცნობს ჩვენი პარტიის დამსახურებას იმაში, რომ გარდამავალ ხანაში, როდესაც ვნებათა ღელვამ თავის განვითარების მწვერვალს მიაღწია, ის გადამწყვეტ ბრძოლას აწარმოებდა ნაციონალისტურ წინდაუხედაობის წინააღმდეგ და ამასთანავე ის ებრძოდა იმათ ფსიქოზსაც, რომლებსაც სწამდათ, რომ მსოფლიო პროლეტარიატის ერთი ძლიერი დაკვრით შეიძლება ბოლო მოეღოს ომის მიერ გამოწვეულ ტანჯვა-წვალებასო.

ჩვენი ხალხის ტანჯვა და მოთმინება განუზომელია. ჩვენ არავის მივცემთ ნებას, რომ გვისაყვედუროს არა საკმაო ცოდნა ხალხთა მასების ცხოვრების მძიმე პირობებისა. ჩვენ არავის არ დავუთმობთ აგრეთვე პირველ ადგილს ბრძოლის ფრონტზე „კაპიტალიზმის წინააღმდეგ, რომელიც არის ჩვენი ტანჯვის საბოლოო მიზეზი. ჩვენ სხვებისგან მხოლოდ იმით განვსხვავდებით, რომ მტერს იმათზე უკეთ ვიცნობთ და არ ვიკვებებით ილიუზიებით კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სიმძიმისა და ხანგრძლივობის შესახებ.

უფრო სასტიკათ, ვინემ როდისმე, ჩვენ დღეს ვილაშქრებთ არა მარტო გერმანიის, არამედ საერთაშორისო კაპიტალიზმის წინააღმდეგაც,—იმ კაპიტალიზმის, რომლის პირმშო შვილადაც ითვლება ვერსალის ხელშეკრულება. ჩვენ აშკარათ ვხედავთ ჩვენს მიზანს იმაში, რომ სოციალისტურ და ამასთანავე დემოკრატიულ მუშურ პოლიტიკას საშუალებით ვუჩვენოთ ქვეყანას იმის მაგალითი, თუ როგორ შეუძლია შემოქმედება აწარმოოს, როგორც ფიზიკურათ ისე მორალურათ ჩვენი ხალხსავით განაწამებ ხალხმა, თუ კი იგი მოიმარჯვებს ჩვენს მეთოდებს. ამ გზით ჩვენ ვცდილობთ მოვიპოვოთ სიმპატია და თანაგრძნობა მთელი ქვეყნის მშრომელ მასსების მხრით. ჩვენს მდგომარეობას ამსუბუქებს ის გარემოება, რომ ჩვენ მთავრობის კოალიციის გარეშე ვდგევართ. მე არ მინდა წინასწარ განვსაზღვრო კამათის შედეგები; მაგრამ მე ვფიქრობ, რომ მთელი ყრილობის აზრს გამოვხატავ, თუ ვიტყვი, რომ ჩვენი მიზანი არ არის ოპოზიციაში დარჩენა, არამედ ჩვენ გვინდა სახელმწიფოში მოვიპოვოთ უფრო დიდი გავლენა,—იმაზე უფრო ძლიერი, როგორიც ჩვენ შეგვეძლო გვქონებოდა მაშინ,—როდესაც ჩვენ მთავრობის კოალიციაში ვიყავით. ამის მიღწევა შეიძლება მხოლოდ მასსების განვითარების გზით, ვინაიდან მხოლოდ მასსებზე დაყრდნობით შეგვიძლია ჩვენ მოვიპოვოთ ნამდვილი გავლენა.

ამ საკითხში ჩვენი შეთანხმება სულაც არ ნიშნავს იმას, თითქოს უთანხმოება არ იყოს სხვა საკითხებშიაც. მაგრამ ჩვენ დარწმუნებულნი ვართ იმაში, რომ ჩვენი დებატები გამსჭვალული იქნება მთლიანობის სულით. თუ რა შედეგები მოჰყვება განხეთქილებას,—ეს ჩვენ უკვე ვიცით უკანასკნელ წლების მწარე გამოცდილებიდან. ამ შედეგების გათვალისწინება ჩვენ იმითაც შეგვიძლია, თუ რა ხდება მუშათა მოძრაობის მეორე ნაწილში, რომელიც ჩვენ გამოგვეყო.

რამოდენიმე დღის წინ ჩვენ ვდღესასწაულობდით სოციალისტების წინააღმდეგ მიმართულ კანონის გაუქმებას, ორი დღის შემდეგ შესრულდება 30 წელიწადი მას შემდეგ, რაც ჩვენ მოვიწვიეთ ლეგალური ყრილობა გერმანიის ტერიტორიაზე. 1890 წლის 12 ოქტომბერს ვილიამ ლიბკნეხტმა გახსნა ჰალლეში პარტეიტაგი შემდეგი სიტყვებით: „თქვენ არ გააცრუებთ მასსების იმედებს; თქვენ დაამტკიცებთ, თუ როგორ ცდებიან ისინი, ვინც ფიქრობენ, რომ მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში უძლეველი სოციალ-დემოკრატიავითომც გახდება შინაგან განხეთქილების მსხვერპლი“.

1920 წლის 12 ოქტომბერს, სწორეთ

დღეს

„დეილ გერალდის“ ცნობით ანტანტას მოლაპარაკება აქვს ქიამილ-ფაშასთან საბჭოთა რუსეთის საწინააღმდეგო კავშირის შესაკრავად.

ლონდონში პრემიერთა თათბირის მთავარი თემა იქნება რუსეთი და საბერძნეთი.

რუსეთ-პოლონეთს შორის საზავო მოლაპარაკება გრძელდება.

ბოლშევიკების ცნობით ინგლის-რუსეთის სავაჭრო ხელშეკრულება თითქმის მზად არის და მოკლე ხანში გადაეცემა კრასინს.

ბესარაბიაში გადასულ პეტლიურას ჯარის ნაწილს რუმინელთა იარაღი აჰყარა.

საფრანგეთის მთავრობამ თავს იდვა ვრანგელის ჯარის აღდგენა.

საბჭოთა რუსეთის ადგილობრივი მისიის ცნობით გამოცხადდა დაღესტნის ავტონომია. მართვა გამგეობის ფორმა გამომუშავდება მოსკოვში.

30 წლის შემდეგ, იმავე ჰალლეში იკრიბება იმ პარტიის ყრილობა, რომელიც დღემდე სოციალ-დემოკრატიის სახელს ატარებს და რომელმაც დაუმტკიცა მთელ ქვეყანას, თუ როგორ ამარცხებს პარტია თავისივე თავს შინაგან განხეთქილების წყალობით.

მე ვეკითხები გერმანიისა და მთელი ქვეყნის მუშებს, სად არის ნამდვილი სოციალ დემოკრატია: იქ, სადაც ურთიერთი განადგურება სწარმოებს და იწარმოებს მანამდე, სანამ მხოლოდღა ცეცხლმოდებული ნანგრევები დარჩება, თუ იქ, სადაც პრაქტიკათ არის დაცული გერმანიის სოციალ-დემოკრატიის მამათმთავრის გაფრთხილება, რომელიც ამბობს: პროლეტარიატმა არ უნდა დაუშვას დამარცხება შინაგან უთანხმოებათა წყალობით; მან უნდა დაიცვას მთლიანობა ყოველგვარ პირობებში.“?..

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

29 ნოემბერი.

რუსეთის დეპეშ. სააგენტო

(ბოლშევიკური)

საზავო მოლაპარაკება პოლონეთთან.

მოსკოვი. ნოემბრის 27. ნოემ. 23. შესდგა რუსეთსა და პოლონეთის შორის საბოლოო საზღვრების გამოკვლევის კომისიის სხდომა. აირჩიეს ქვე კომისიები.

საბჭოთა რუსეთის პროტესტი.

ლატვიაში მყოფმა რუსეთის წარმომადგენელმა განეცკიმ ლატვიის მთავრობას მიმართა ნოტით, სადაც სთხოვს, რომ თანახმად საზავო ხელშეკრულებისა დააბრუნონ რუსი მოქალაქენი საბჭოთა რუსეთში. წინააღმდეგ ხელშეკრულებისა, მრავალი მოქალაქე, რომელიც უნდა გაეგზავნათ ლატვიის მთავრობას სამშობლოში, ციხეში ზის.

ამერიკა, ინგლისი და საბჭოთა რუსეთი.

„იზვესტიას“ მოწინავე წერილი სწერს: ინგლისის კაპიტალისტები დაფაცურდნენ არა უმიზეზოთ. პირველი მიზეზი ის არის, რომ სკანდინავია რუსეთთან სავაჭრო დამოკიდებულების აღდგენას ფიქრობს. მეორე ამერიკის საეჭვო ყოფაქცევა, ვილსონის დამარცხებისა და რესპუბლიკანელ გორდინგის არჩევის შემდეგ—თავის პროგრამით, რომ დაუყოვნებლივ აღდგენილ იქნას ყველა მეგობარ სახელმწიფოსთან ვაჭრობა, შეიძლება წინ წაუსწროს ანგარიშიან ინგლისს. ამ ორმა მიზეზმა აიძულა ლოიდ ჯორჯი დაჩქარებით შეეტყობინებია პარლამენტისთვის რუსეთთან დაუყონებლივ სავაჭრო დამოკიდებულების აღდგენის შესახებ. ვილსონის დამარცხება ისეთივე მოულოდნელი იყო, როგორც ვრანგელის დამარცხება. ვრანგელმა არჩევნებამდე ერთ მიტინგზე განაცხადა, რომ ვილსონის მთავრობა ქვეყნის გადარჩენის პროექტებს ამზადებდა იმ დროს, როდესაც ინგლისმა ხელთ ჩაიგდო 90% ნავთის სიმდიდრისა. ჩვენ საგარეო ვაჭრობას სრულიად ჩამოვცილდით. ჩვენ უნდა დავუბრუნდეთ პრაქტიკულ ცხოვრებას. ამერიკელებისთვის დრო ფულია, ისინი დიდხანს არ ილაპარაკებენ. ბაზრის დაკარგვის შიშით, ინგლისის დიპლომატები მაინც არ უარყოფენ საბჭოთა რუსეთთან შეიარაღებულ ბრძოლის შეწყვეტას, ხელს სჭიდებენ რა ხავსს, მაგრამ წყალწაღებული იხრჩობა ხავსთან ერთად, ამის თავდებია მუშათა წითელი არმია.

მახლობელ აღმოსავლეთში

„დეილი გერალდის“ მოყავს სენსაციური ცნობები თითქოს ანტანტა ემზადება ქემალთან კავშირის შესაკრავათ. საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ. დასავლეთის კაპიტალისტებს არ სურთ უარყონ იმედი ბაქოს ნავთის შესახებ. ანტანტამ გადაწყვიტა გადადგას ეს ნაბიჯი რომ გადასჭრას აღმოსავლეთის საკითხი. ამიტომ მათ სურთ აღიარონ ქემალი, და სომხეთში გაწეული ხარჯების კომპენსაცია მისცენ, სამაგიეროთ წითლები განდევნილ უნდა იქნენ ბაქოდან. ლონდონში პრემიერთა თათბირის მთავარი თემა იქნება რუსეთი და საბერძნეთი.

ლეიგ'ს განცხადება.

ლეიგმა განაცხადა, პარლამენტის საგარეო საქმეთა კომისიის პოლიტიკა ისეთივე დარჩება, როგორც იყო მილიერანის პოლიტიკათ. ვრანგელის დამარცხების გამო პოლ ლუი სწერს, ანტანტის სტიპენდიანტების და ავანტიურისტების დამარცხება ყოველთვის საოცარი სისწრაფით ხდება. ჩვენს მართველებს არ ესმით ახალ რეჟიმის დროს რუსეთის საქმეები, აგრეთვე არ ესმოდათ ძველათ.

კომუნისტთა კრებაზე.

ბერლინში კომუნისტთა კრებაზე ილაპარაკა ბრანდლერმა, რომელმაც განაცხადა, რომ კაპიტალის წინააღმდეგ ბრძოლა იქნება გაძლიერებული 400,000 უმუშევრით. კრებამ გამოიტანა რეზოლიუცია, რომელიც რევოლიუციონურ ბრძოლის პირველ მიზნათ აცხადებს წარმოების და ძალა-უფლების ხელში ჩაგდებას. ბერლინში კომუნისტებმა მოიწვიეს ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტის, მუშათა საბჭოების და მოსამსახურეთა კრება. სოც. დემოკრ. და პროფ. კავშირებმა თავის წარმომადგენლებს აუკრძალეს მონაწილეობის მიღება. ყრილობას დაესწრნენ მხოლოდ რევოლიუციონური კომიტეტები, რომლებმაც გამოაგზავნეს 1520 წარმომადგენელი. ბრანდლერმა აღნიშნა პრ. კავშ. ბიუროკრატიზმი წვრ. ბურჟუაზიული მენშევიკური ხასიათი ძ გერ. სოც.-დემ. მოქმედება. მიღებულ რეზოლიუციაში აღნიშნულია, რომ ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტებმა და პროფ. კავშ. ორგანებთან ერთად თავის თავზე უნდა მიიღოს წარმოების ხელმძღვანელობა.

იტალიაში.

იტალიაში მოსალოდნელია დიდი ამბები. ადრიატიკის ხელშეკრულების საწინააღმდეგო დემონსტრაციები იზრდება. ნაციონალისტ ოფიცრები ქუჩებში გამოვიდნენ დროშებით, რომლებზედაც ეწერა: გაუმარჯოს დანუნციოს, ის გადაარჩენს იტალიას. სოციალისტურმა პარტიამ გამოაქვეყნა მანიფესტი ჯარისკაცთა და მეზღვაურთა მიმართ, რომელიც შემდეგის სიტყვებით სრულდება: „თქვენ უნდა აღსდგეთ“. იტალიის პალატაში მთავრობის შინაური პოლიტიკის შესახებ კამათის დროს გამოირკვა უკმაყოფილება, როგორც სოციალისტურ და ნაციონალისტური პარტიის მხრივ, ისე კათოლიკურ სახალხო პარტიის მხრივ. სოც. ფრაქციის წარმომადგენლებმა განაცხადეს: ჯიოლიტი ლიბერალური სიტყვებით იფარავდა თავს, მისი მოქმედება კი რეაქციონური იყო. ნაციონალისტ პასპირატოტმ უსაყვედურა მთავრობას, რომ მას სიმტკიცე და გადამწყვეტი მოქმედება აკლია.

სამხედრო ცნობა.

მოსკოვი. 27 ოქტომბ. მოზირის რაიონში ბალახოვიჩის ჯარის ნაწილის დევნა გრძელდება. ბალახოვიჩთან ბრძოლის დროს ჩვენ წამოვიყვანეთ 3000 ტყვე. მათ რიცხვში 120 ოფიცერი, ხელთ ვიგდეთ 4 ზარბაზანი 40 ტყვიისმფრქვეველი და ერთ დროშა. პრიპიატის რაიონში ჩვენი შეტევა გრძელდება.

სავაჭრო დამოკიდებულებისათვის.

ლოიდ ჯორჯის მიმართულებამ გაიმარჯვა. სავაჭრო დამოკიდებულების ხელშეკრულება რუსეთთან თითქმის მზათ არის და მოკლე ხანში გადასცემენ კრასინს. საფრანგეთის მინისტრთა თავმჯდომარემ განაცხადა, რომ იგი არამც თუ ხელს შეუშლის რუსეთთან ვაჭრობის აღდგენას, არამედ დახმარებასაც აღმოუჩენს.

ირლანდიაში.

დუბლინში მთელი ღამე ჩხრეკა ხდებოდა. აპატიმრებდნენ სინფეინერებს. წარსულ კვირაში მოკლულთა რიცხვი 40-მდეა, დაჭრილთა 130.

ვრანგელის ჯარის აღდგენა.

სტოკჰოლმი, 27/11. საფრანგეთის მთავრობამ თავის თავზე მიიღო ვრანგელის ჯარის აღდგენა. ფრანგები ფიქრობენ თეთრგვარდიელთა არმიის აღდგენას საბჭოთა წინააღმდეგ.

ანტიბოლშევიკური კონფერენცია.

მილიერანი დეკემბრის დასაწყისში რუსეთის პარტიულ წრეების ანტიბოლშევიკური კონფერენციის მოწვევას აპირებს. კონფერენციამ უნდა შექმნას ბოლშევიზმთან საბრძოლველათ ახალი ბაზა. თუ შეთანხმება მოხდა, საფრანგეთი შეადგენს ანტიბოლშევიკურ ჯარს.

დამოუკიდებელი მუშათა პარტია.

დამოუკ. მუშათა პარტიის ეროვნულმა საბჭომ დაისახა მოქმედების ახალი პროგრამა. ამ პროგრამის მიხედვით სოციალისტურ სახელმწიფოში სამეურნეო ცხოვრების ხელმძღვანელობა მუშებს ეკუთვნის. პროგრამა მიზნათ ისახავს არსებულ წესწყობილების მოსპობას და კომუნისტური წესის შექმნას.

პეტლიურას ჯარი

ადესა 26 ნოემ. „ბუქარესტის კურიერის“ ცნობით პეტლიურას ჯარის ნაწილს რომელმაც წითელ არმიის შემოტევის გამო ბესარაბიის ტერიტორიისაკენ დაიხია, რუმინეთის მთავრობის განკარგულებით იარაღი აჰყარეს.

ლიონის ცნობები

ხელშეკრულების დამტკიცება

იტალიის პალატამ მოიწონა რაპალოს ხელშეკრულების პროექტი 215 ხმით 15 წინააღმდეგ.

თათბირი ლონდონში.

ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობის მეთაურები თათბირს განაგრძობენ. შაბათს თათბირი 2 საათს გაგრძელდა. შემდეგი თათბირი გადადეს ორშაბათამდე, რათა გრაფ სფორცას შეძლება მიეცეს თათბირში მონაწილეობის მიღებისა. „ფიგარო“ სწერს: რომ საფრანგეთისა და ინგლისის წრეებში ისარგებლებენ ამ ვადით, რათა საბერძნეთის არჩევნების საკითხში გაერთიანდენ. ორივე მხარე კმაყოფილია მოლაპარაკების შედეგებით.

ფრანგული ცნობები

საბერძნეთში.

ფრანგული პრესის ცნობით ყოფილი მეფე კონსტანტინე ფიქრობს განუცხადოს მოკავშირეთა მთავრობებს, რომ დღევანდელი საბერძნეთის მთავრობას აქვს მტკიცე სურვილი განაგრძოს ვენიზელოსის საგარეო პოლიტიკა საფრანგეთისა და ინგლისის მთავრობებთან მჭიდრო და ლოიალურ თანამშრომლობით.

ბელგია და საბჭოთა რუსეთი.

ბრიუსელიდან მოსული ცნობით ბელგიის მთავრობამ გადასწყვიტა მოკლე დროში რუსეთთან მოლაპარაკება გამართოს ეკონომიური დამოკიდებულების აღდგენის მიზნით.

საქ. დეპ. სააგენტოს საინფორმაციო განყოფილება

27 ნოემბერი.

გერმანიის მდგომარეობა.

ბერლინი. ომის შემდეგ პირველად გაიხსნა კონგრესი გერმანიის ბანკების და ბანკირთა კანტორების წარმომადგენლებისა. რეიხსტაგის წევრმა რისერმა კონგრესის გახსნისას მოხსენება გააკეთა გერმანიის მძიმე მდგომარეობის შესახებ, რომელიც ვერსალის ხელშეკრულების პირობებმა შექმნა, აღნიშნა რა ახალშენთა დაკარგვა, ნახშირის მიცემა და საფრანგეთის მიერ რეინის მარცხენა ნაპირის დაკავება, რისერმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ საჭიროა ვერსალის ხელშეკრულების გადასინჯვა. გერმანიის მთავრობის სახელით ილაპარაკა დ-რ ჰოლცმა, რომელმაც გამოსთქვა მტკიცე რწმენა, რომ გერმანიის ბანკები გერმანიის აღორძინების საქმეში მთავრობას ყოველგვარ დახმარებას გაუწევენ. საგარეო საქმეთა მინისტრმა სიმონსმა აღნიშნა: გერმანიისათვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს დაარწმუნოს მთელი განათლებული ქვეყანა იმაში, რომ საჭიროა ვერსალის ხელშეკრულების გადასინჯვა. ბანკირთა კონგრესს 1500 დელეგატი დაესწრო.

გერმანია და ინგლისი.

გერმანიის პრესა კმაყოფილებით აღნიშნავს ინგლისის მთავრობის უკანასკნელ დადგენილებას, რომელიც გერმანიის მოქალაქეთა ქონების კონფისკაციაზე ხელის აღებას შეეხება. გაზ. „ფრეიჰეიტი“ სწერს: ეს გადაწყვეტილება მეტად მნიშვნელოვანია, რადგანაც იგი გადასაწყვეტად სვამს საკითხს ევროპის სახელმწიფოთა შორის ნორმალურ ეკონომიურ დამოკიდებულების აღდგენის შესახებ. სასურველია, რომ ევროპის სხვა სახელმწიფოებმაც მიბაძონ ინგლისის მაგალითს.

ებრაელთა შევიწროებისათვის.

ვარშავა. სამხედრო სამინისტრო ოფიციალურად აცხადებს: მთავრობის საგამომძიებლო კომისიამ აღმოაჩინა სამხედრო პირთა მიერ ებრაელ მცხოვრებთა მიმართ ჩადენილი ბოროტ მოქმედებანი. დანაშავენი გასამართლებულნი არიან და სათანადო სასჯელი უკვე მიესაჯათ. 14 კაცს გადაწყვეტილი აქვს სიკვდილით დასჯა. 1 პირს კი 8 წლით ციხეში დაპატიმრება.

პორტუგალიაში.

პარიზი. „ტანი“ იუწყება: ცნობები პორტუგალიაში მომხდარ საყოველთაო გაფიცვის შესახებ სიმართლეს მოკლებულია. არის მხოლოდ რკინის გზელთა ნაწილობრივ გაფიცვა. მაგრამ რკინის გზით მიმოსვლა შეჩერებული არ არის. პორტუგალია-ჩრდილოეთით მატარებლებს სამხედრო რაზმები იცავენ.

სესხი ბულგარეთს.

„ტანის“ ცნობით ინგლისელ ფინანსისტთა ერთ ჯგუფს წინადადება მიუცია ბულგარეთისათვის, რომ მან გაიღოს 10 მილ. გირ. სტერლინგის სესხი. სესხის პირობები საკმაოთ ხელსაყრელია, სესხის პირობებზე ხელის მოწერა შესაძლებელი იქნება ანტანტის თანხმობით. მაგრამ ამ სესხს გამოუჩნდა ოპოზიცია, რომელიც ინგლისელთა პირობებს მეტად მძიმედ სთვლის.

რუსეთის დასავლეთის ფრონტზე.

ლონდონი. ინგლისის პრესის ცნობით რუსეთის დასავლეთის ფრონტზედ მომქმედ თეთრ ჯარებს, რომელსაც ამჟამად ბალახოვიჩი მეთაურობს საკმაოდ აქვთ ტანკები, არტილერია და ავტომობილები.

ფულის ანგარიში.

მოსკოვი. „პრავდა“ იუწყება: სახ. კომ. მცირე საბჭომ შეიმუშავა პროექტი ფულის გადახდის მოსპობის შესახებ იმ სურსათ სანოვაგეზე, რომელიც ეძლევა მუშებს, მოსამსახურეებს და მათ ოჯახებს 1—2 კატეგორიის ბარათებით. ამასთანავე შეადგინეს კომისია იმ საკითხის გამოსარკვევად, რომ სრულებით გააუქმონ ფულით ანგარიში საბჭოთა დაწესებულებებს და წარმოებებს შორის. „პრავდა“ ამასთანავე ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მიუხედავათ ყველა ამ ღონისძიებათა, მცხოვრებლებს მაინც დასჭირდება ფული „მეშოჩნიკების“ ბაზარზე სურსათის შესაძენათ. ჯერ-ჯერობით კი მცხოვრებთ „უმეშოჩნიკოთ“ ცხოვრება გაუჭირდებათო“.

საქართველოში არსებულ რ. ს. ფ. ს. რ. სრულუფლებიან წარმომადგენლობის პრესის ბიუროს ბიულეტინიდან

დაღესტანის ავტონომია.

ბაქო. 2 ნოემბერი. 13 ნოემბერს დაღესტნის ხალხთა ყრილობაზე, რომელიც თემირ ხან-შურაში შესდგა, სახალხო კომისართა საბჭოს წარმომადგენლის სტალინის მიერ აღიარებულ იქნა დაღესტანის ავტონომია დაღესტნის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ფორმით.

დაღესტნის ხალხთა ყრილობა გაიხსნა ზეიმით დაღესტნის დელეგატთა მესამედზე მეტის თანადასწრებით, სიტყვა წარმოსთქვა ამხ. სტალინმა, რომელმაც სთქვა, რომ საბჭოთა მთავრობამ, რომელიც ერთავად აწარმოებდა მძიმე ბრძოლას დასავლეთზე, მხოლოდ ეხლა შეუდგა მიმდინარე საკითხების გადაჭრას, მათ რიცხვში დაღესტნის საკითხსაც.

დაღესტანი იქნება ისეთივე ავტონომიური ნაწილი რუსეთის ფედერაციისა, როგორიც არის თათრული სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა—თურქესტანი და ტაშკენტი.

დაწვრილებით მართვა გამგებლობის ფორმა ახალი რესპუბლიკისა გამომუშავებულ იქნება მოსკოვში სახალხო კომისართა საბჭოს და დაღესტნის წარმომადგენელთა მიერ.

რუსი მენშევიკების მოწოდება.

მოსკოვი. 26 ნოემბერი (რადიო) მარტოვმა და აბრამოვიჩმა გამოაქვეყნეს მოწოდება—რუსული მენშევიკური პარტიის სახელით ყველა ქვეყნის სოციალისტური პარტიების და პროფესიონალური კავშირების მიმართ. ისინი მოუწოდებენ დასავლეთ-ევროპის პროლეტარიატს, რომ რადიკალურათ მოითხოვონ საბჭოთა მთავრობის დაუყონებლივ აღიარება, რუსეთთან ეკონომიური ურთიერთობის განახლება.

ბრძოლა აშკარა თუ საიდუმლო ინტერვენციის ცდასთან, ყველაფერი ორიგინალური და ავთმყოფი რუსული რევოლიუციისა შეიძლება მოისპოს მხოლოდ იმ პირობებში, თუ მოხსნილ იქნება ბლოკადა და შეწყვეტილ იქნება ხელოვნური დახმარება გარედან სამოქალაქო ომისა.

პროფესიონალური მოძრაობა.

ბერლინი. გერმანიის პროფესიონალურ კავშირთა ფედერაციამ, რომელშიც 52 პროფესიონალური კავშირი შედიოდა, ამ უკანასკნელ წელს თავის წევრთა რიცხვი $4^{1}/_{2}$ მილ. კაცით გაადიდა. სულ ფედერაციაში 8 მილ. კაცი ითვლება.

სომხეთი და ოსმალეთი

სომხეთის მისიის ცნობა.

სამხედრო ცნობა. ალაგეზის რაზმი, ნოემბრის 23 ჩვენმა ცხენოსანმა მილიციამ აღმოაჩინა 150 ცხენოსანი და 1500 ქვეითი თათარი და ქურთი, რომლებიც გამოჩნდნენ სოფ. ტალინის რაიონში. ოსმალებმა სროლა აუტეხეს ნეიტრალური ზონის მილიციონერებს, რომლებსაც თან ჰქონდათ თეთრი დროშა. **ბაშაბარანის რაზმი.** ნოემბრის 24 ნორაშენიდან პარლამენტის წევრი ოვაკიმ ბუდაგიანი იუწყება შემდეგს: ჯერ კიდევ გუშინ 200 კაცი ასკერი გარს შემოერტყა სოფელ კაჩაკილისს და ბაშკენტს და რბევა დაუწყო. რბევა ჯერ კიდევ გრძელდება, მიუხედავათ დროებითი ზავისა.

დანარჩენ რაზმებს დროებითი ზავის პირობები არ დაურღვევიათ.

ნოემბრის 25 მტერმა სოფ. დიზადან მდ. არაქსზე სროლა აგვიტეხა; დაიჭრა ერთი ჯარისკაცი.

დანარჩენ ფრონტზე მდგომარეობა არ შეცვლილა.

ახალი ამბები

◆ **დღეს, საღამოს 6 საათზე დანიშნულია საქ. ს. დ. მ. პ. თფილისის კომიტეტის სხდომა.**

◆ **დღეს, საღამოს 7 საათზე მუშათა სასახლეში დანიშნულია საქართველოს პროფ. კავშირთა ცენტრალურ საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის მორიგი სხდომა.**

◆ **ფ. ენგელსის დღე.** 28 ნოემბერს დილის 11 ს. 30 წ. სახელმწიფო თეატრში ნ. ჟორდანიას თავმჯდომარეობით გაიხსნა მრავალ-რიცხვოვანი კრება, რომელიც მოწვეულ იყო ენგელსის დაბადებიდან 100 წლის შესრულების აღსანიშნავად. კრების გახსნის შემდეგ ნ. ჟორდანიამ თავის მოკლე სიტყვაში დაახასიათა მარქს-ენგელსის თანამშრომლობა, მათი თეორიული და პრაქტიკული მუშაობა მარქსიზმის შექმნის საქმეში, აღნიშნა აგრეთვე მარქსიზმის ძირითადი დებულებებიც. შემდეგ კრ. შაოშიძის ასულმა წაიკითხა კ. კაუცკის მოგონება ფრ. ენგელსის მოღვაწეობა-ცხოვრების შესახებ (თვითონ კაუცკი კრებაზე ავათმყოფობის გამო ვერ მოვიდა). დასასრულ მოკლე მოხსენება გააკეთა ფრიდრიხ ენგელსის მოღვაწეობის და მეცნიერული სოციალიზმის შესახებ ს. დევდარიანმა. „დღის“ დაწვრილებით ანგარიშს შემდეგ დავბეჭდავთ.

◆ **ლადო ქეცხოველის დაკრძალვა**

კვირას დილიდანვე ქაშვეთის ეკლესიის გალავანი და გარშემო ქუჩები ხალხით გაივსო. წირვის შემდეგ ეკლესიის გალავანში წარმოთქმული იქნა სიტყვები. დამფუძნებელ კრების ხელოვნების კომისიის სახელით სიტყვა წარმოსთქვა ეკ. გომართელმა. მასწავლებელთა კავშირის სახელით ალ. წერეთელმა. უკანასკნელად მგრძნობიარე სიტყვა წარმოსთქვა პოეტმა გიორგი ქუჩიშვილმა. სამგლოვიარო პროცესია რუსთაველის პროსპექტით გაემართა დიდუბისაკენ. ზღვა ხალხი ქუჩებს ფარავდა. პროცესიაში მიდიოდნენ მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია, მთავრობის და დამფუძნებელი კრების წევრები და სხ. ცხედარი ხელით მაღლა აწეული მიჰქონდათ. კუბო შემკობილი იყო მხოლოდ ერთი გვირგვინით. სახელმწიფო დრამის წინ კაზ. ანდრონიკაშვილმა ქართველ მსახიობთა სახელით სიტყვა წარმოსთქვა და სახაზინო თეატრის ორკესტრმა შეასრულა შოპენის სამგლოვიარო მარში. პროცესია შეჩერდა აგრეთვე სახალხო სახლის წინ, სადაც ადგილობრივი სცენის მოყვარეები შავი დროშებით შეეგებნენ ცხედარს. დიდუბეში საფლავზე სიტყვები წარმოსთქვეს ნაძალადევის მუშათა კლუბის, ქართულ თეატრის მუშა-მოსამსახურების და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებმა. საღამოს სწორედ 4 ს. ცხედარი მიწას მიაბარეს ქართველ მოღვაწეთა პანთეონში და განსვენებულის პატივისმცემელნი, აცრემლებულნი ნელ-ნელა დაიშალნენ.

◆ **იუსტიციის სამინისტრომ** მთავრობას განსახილველათ წარუდგინა პროექტი დეკრეტისა ბინებზე და სადგომებზე ფასების გადიდების შესახებ. პროექტში აღნიშნულია, რომ შენობისა და ბინის პატრონს ამ დეკრეტის დამფუძნებელი კრების მიერ მიღების შემდეგ უფლება აქვს გაადიდოს ფასი პროექტში განსაზღვრულ რაოდენობამდე. თუ ბინა, ოთახი ან კუთხე დაქირავებულია საცხოვრებლათ, ან სახელმწიფო, საზოგადო სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულებათა, ან პროფესიონალურ ორგანიზაციებისათვის,—იმ შემთხვევაში მეპატრონეს უფლება აქვს გაადიდოს ფასი, რომელსაც იგი ღებულობდა 1917 წლ. იანვრის პირველს თფილისში 1000-დან—1500 %, ქუთაისში, ფოთში და სოხუმში 700—1200%, თუ ბინა, ოთახი, ან კუთხე მიქირავებული აქვს სავაჭრო და სამრეწველო საზოგადოებებს კანტორებისა, საწყობებისა, ან სხვ., იმ შემთხვევაში მეპატრონეს უფლება აქვს ფასი გაადიდოს კიდევ 30%.

◆ **რკინის გზელთა კონფერენცია.** რკინის გზელთა კავშირის ცენტრალური გამგეობა დეკემბრის 1 იწვევს კავშირის რაიონულ გამგეობათა წარმომადგენლების კონფერენციას. ამ კონფერენციამ უნდა გამოიმუშაოს რკ. გზ. დელეგატთა მომავალი ყრილობის დღიური წეს-რიგი.

◆ **მარგანეცის ექსპორტი.** „ჩემო“-ს ცნობით ყოველგვარი ზომებია მიღებულ მარგანეცის ექსპორტის გასაძლიერებლად. ამ მიზნით „ჩემო“-ს მიერ მიღებულია ზომები თფილისში „ჩემო“-ს საგანგებო კანტორის გასახსნელად და მუშა-მოსამსახურეთათვის ბინების საშოვნელად. მიღებულია აგრეთვე ზომები ფოთში მყოფ მუშათა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. „ჩემო“-ს მიზნათ აქვს ფოთში წყალსადენის მოწყობა, ნავთ-სადგურის გაუმჯობესება და მისი გაღრმავება. როდესაც ეს ნაკლი აღარ იარსებებს, მაშინ გემების მარგანეცით დატვირთვის საქმე უფრო გაძლიერდება. ელევატორი მზათ იქნება ერთი თვის შემდეგ.

◆ **ჯანმრთელობის დეპარტამენტმა** შეადგინა № 10 ბიულეტინი ჟირკვლებიანი ჭირისა და ხოლერის მოძრაობის შესახებ ბათომში, ფოთსა და თფილისში ნოემბრის 16—23-მდე. ბიულეტენის მიხედვით ნოემბრის 16-ს ბათომში ჟირკვლებიანი ჭირით ავად ყოფილა 4 კაცი. ერთი კვირის განმავლობაში ავად გამხდარა კიდევ 1, სულ ნოემბრის 23 ავად ყოფილა 5 კაცი, ფოთში ჭირით ამ ხნის განმავლობაში არავინ გამხდარა. ამავე ხნის განმავლობაში თფილისში არ ყოფილა შემთხვევა ხოლერით ავად გახდომისა.

◆ **შრომის სამინისტრომ** სოხუმის, ქუთაისის და ბათომის მომრიგებელ კამერათა თავმჯდომარეებს წინადადება მისცა სასწრაფოდ წარმოადგინონ კამერათა მოქმედების დაწვრილებითი ანგარიშები.

◆ **ფოსტა ტელეგრაფის სამმართველოში.** ნოემბრის 20 აღადგინეს მოქმედება ხულოში არსებულ ფოსტა ტელეგრაფის დაწესებულებისა.

◆ **ფინანსთა სამინისტროში.** ამ მოკლე ხანში მუშაობას დაიწყებს აბასთუმანში (ზუგდიდის მაზრა) არსებული არყის სახდელი სახელმწიფო ქარხანა. ამ ქარხანაში გამოხდილი სპირტი პირველ ყოვლისა გაეგზავნება აფთიაქებს და საექიმო-სასანიტარო დაწესებულებებს.

— გზათა დეპარტამენტმა შეიმუშავა და ფინანსთა სამინისტროს გადასცა დასამტკიცებლად პროექტი გზათა უწყების მოსამსახურეთათვის ჯილდოს დაწესების შესახებ. ფინანსთა სამინისტრომ ეს პროექტი მოიწონა. სამინისტროს აზრით ჯილდოებს უნდა აძლევდნენ არა ახალი ასიგნობებით, არამედ გზათა დეპარტამენტის ხარჯ აღრიცხვის ნაშთებიდან.

◆ **თფილისის მუნიციპალურ მუშა-მოსამსახურეთა კავშირის აღმასრულებელი კომიტეტი** იწვევს დღეს, 30 ნოემბერს სადელეგატო საბჭოს წლიურ ყრილობას, რომელიც შესდგება სალ. 5 საათზე ქალაქის საბჭოს დარბაზში.

◆ **სახელმწიფო ოპერა.** დღეს, 30 ნოემბერს, ოპერა „მარგალიტის მაძიებელნი“ მონაწილეობენ: ბურაგო-ცეხანოვსკაია, სარაჯიშვილი, დოხოდოპოლიაევი და სხ. დასაწყისი 8 საათზე.

◆ **შრომის სამინისტრომ მიმართა** შინ. საქ. სამინისტროს თხოვნით, რათა მან ნება დართოს ავტომობილის მოძრაობისა ბათომსა და კვირცხან ს. სპილენძის ქარხანას შორის მუშებისათვის სურსათ-სანოვაგის მისაწოდებლად.

◆ **სახალხო განათლების სამინისტროს იურისკონსულტს** მიენდო შეადგინოს იმ სტამბათა მეპატრონეებისა და მოიჯარადრეების სია, რომელნიც სისტემატიურად არღვევენ კანონს მთავრობის დაწესებულებისადმი დაბეჭდილ ნაწარმოებთა წარმოდგენის შესახებ. სახალხო განათლების სამინისტროს ბრძანების თანახმად ეს პირნი პასუხისგებაში უნდა იქნან მიცემულნი.

◆ **„ჯეჯილი“.** რედაქციამ მიიღო საყმაწვილო ჟურნალ „ჯეჯილის“ აგვისტოსა და სექტემბრის ნომერი. ჟურნალის რედაქცია გვთხოვს გამოვაცხადოთ: ჟურნალის გამოცემა დღევანდელ პირობების გამო მეტათ გაძნელდა. თუმცა განათლების სამინისტრომ დაავალა სასწავლებლებს ჟურნალის გამოწერა, მაგრამ არც ერობები და, არც სასწავლებლები ჟურნალს არ აწერენ, რაც მეტათ მძიმე პირობებს ქმნის ჟურნალის არსებობისათვის. ერობებს (გორის, ბორჯომის, გარეთ უბნის, თელავის) დაკვეთილი აქვთ ჟურნალი, მაგრამ არ მიაქვთ. ბევრი სასწავლებლები სულ არ იწერენ ჟურნალს. საჭიროა მეტი ყურადღება და ჟურნალის გავრცელებისათვის ხელის შეწყობა.

◆ **ქალაქთა კავშირმა** რესპუბლიკის თავდაცვის ფონდის კომიტეტში თავის წარმომადგენლად დანიშნა ნ. ელიავა. ქალაქთა კავშირმა შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე, რათა ქალაქებისათვის შავ-ჭირთან საბრძოლველად მიეცეთ განსაზღვრული თანხა.

— მთავრობამ ეს შუამდგომლობა დააკმაყოფილა სამტრედიისა და ფოთის მიმართ, რადგანაც ეს ქალაქები თავისი მდებარეობით საშიშარ ადგილას იმყოფებიან და უფრო შესაძლებელია, რომ შავმა ჭირმა ფეხი ამ ქალაქებში მოიკიდოს. დახმარებას მისცემენ ქალაქთა კავშირის საექიმო-სასანიტარო განყოფილების საშუალებით.

— ქალაქთა კავშირის საექიმო სასანიტარო საბჭომ ინსტრუქტორ ექიმად ექიმი ნაზარეტიანი მოიწვია. უახლოეს სხდომაზე განხილული იქნება შემდეგი საკითხები: 1) გადამდებ სნეულებასთან ბრძოლა, 2) სურსათ სანოვაგის ფალსიფიკაციასთან ბრძოლა, 3) ბრძოლა მალერიასთან, 4) საკურორტო საკითხები და 5) ქალაქთა წყლით უზრუნველყოფა.

◆ **მილიციის ცნობები.** სისხლის სამართლის მილიციამ აღმოაჩინა მოპარული საქონელი: ბაბაევის ბინიდან 800,000 მანეთის, ექიმ ქიქოძეს ბინიდან 800,000 მან., წულუკიძის ბინიდან 50,000 მანეთი და მაგალაშვილის ბინიდან 100,000 მ. ნივთების ერთი ნაწილი უკვე დაუბრუნდა პატრონთ. დანარჩენის აღმოსაჩენათ მიღებულია ზომები. ამ საქმეზე დატუსაღებული არიან: ა. ო. შაჯაიანცი და შ. ი. კალმახელიძე, რომელნიც დანაშაულში გამოტყდნენ.

— თფილისის სისხლის სამართლის მილიციის უფროსი იწვევს სამსახურში გამოცდილი და ქართულ ენას კარგათ მცოდნე პირებს უფროსი აგენტების თანამდებობაზე.

◆ **სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სალიტერატურო წრეში** 26 ნოემბერს სავლე აბულაძემ წაიკითხა რეფერატი: „იოსებ ტფილელი და მისი პოემა „დიდ-მოურავიანი“, რომელიც 2 საათს გაგრძელდა. კამათში მონაწილეობა მიიღეს ალ. ინაშვილმა, გ. ჯაკობიამ, კრ. ციცქიშვილმა, კ. ქუჩიძემ და სხ. მომხსენებლის ბოლო სიტყვის შემდეგ სალიტერატურო წრის კრებამ დაადგინა: მეცადინეობა სწარმოებდეს პარასკეობით საღამოს 6 საათიდან მეორე აუდიტორია).

კრებები.

ხვალ, საღამოს 6 საათზე ცეკას ახალ ბინაზე („ერთობის“ შენობა) შესდგება საქ. ახ. მარქ. ორგ. ცენტრალურ კომიტეტის, საკონტროლო კომისიის, ყველა რაიონულ ორგანიზაციებისა და უნივერსიტეტის კოლექტივის წარმომადგენლების გაერთიანებული კრება. დასწრება სავალდებულოა.

ჩრდილო-კავკასიაში

მარქსიზმი და „გორსკაია ბედნოტა“.

„ვოლნი გორეცის“ მოჰყავს კავკავის კომუნისტურ გაზეთ. „გორსკაია ბედნოტა“-დან ზოგიერთი სანიმუშო ამონაწერები:

მე-4 ნომერში სწერია:

„ეხლა ბრძოლა ჩვენგან შორს არის. რისაც უნდა ვუმადლოდეთ რუს მუშას და ჩვენ იმასთან ერთად უნდა ვიბრძოლოთ: „ჩვენთვის, იმათთვის და ყველა მუშებისათვის, ყველა ჩაგრულთათვის. ეს არის ჩვენი სამღვთო ვალი. ამას გვიბრძანებს ჩვენ თვით ალლახი!

მეთაურ წერილში გაზეთი უსაყვედურებს მთელ ხალხს, რატომ არ იბრძვით საბჭოთა მთავრობისათვისო და არგუმენტათ მოჰყავს:

„**ალლახი გვეუბნება, რომ მართლმორწმუნე უნდა მოჰკვდეს იქ, სადაც სიმართლეა**“.

გაზეთი მარტო ამით აღარ კმაყოფილდება და ყველა თავის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს „გიაურებათ“ ნათლავს. „ჩვენ დაბლოლს უნდა შევიგნოთ, რომ იმათ წინააღმდეგ უნდა ვიბრძოლოთ, როგორც გიაურების წინააღმდეგო“.

ასე მუშაობენ კომუნისტები: ალლახი, გიაურები… და მარქსიზმი!…

საბჭოთა რუსეთში

(გაზეთებიდან).

პროფესიონალურ კავშირებში. პროფესიონალურ კავშირების ცენტრალურმა საბჭომ ყველა თავის ადგილობრივ ორგანიზაციებს დაუგზავნა ცირკულიარული წერილი, რომელშიაც ც. ს-ი აღნიშნავს პროფესიონალურ ორგანიზაციების მუშაობის ტემპის შენელებას და აგრეთვე იმ გარემოებას, რომ არ არსებობს კავშირთ-კავშირების ხელმძღვანელ ორგანოებს და ფართო მუშათა მასის შორის.

„ასეთი მდგომარეობა, სწერია წერილში, მეტად მტკივნეულ გავლენას ახდენს კავშირების მუშაობის უნარიანობა და სიცხოველეზე. და აქედან იბადება საქმისათვის მავნე ფორმალიზმი და ბიუროკრატიზმი“.

რადგანაც არ მიდიან ახალი ძალები მასებიდან, ამიტომ მწვავე საგრძნობი გახდა მუშაკების ნაკლებობა. პასუხისმგებელი პროფესიონალურ კავშ. რების მუშაკები, სწყდებიან რა მასებს, ჰკარგავენ მუშაობის უნარს და აღარც ესმით თავისი ორგანიზაციების საჭიროებანი; ამის შედეგია ორგანიზაციული და ზოგჯერ იდეიური კავშირის შეწყვეტა.“

პროფ. კავშირ. ცენტრალური საბჭო წინადადებას აძლევს ყველა პროფ. ორგანიზაციებს მიაქციონ ყურადღება ამ მოვლენის მიზეზებს შესწავლას და მასთან ბრძოლას.

ხიროვის ხაზზე. 24 ოქტომბერს შინაგან სამსახურის ჯარების გლავკევ-

ვოენტრიბუნალმა გაარჩია უკრაინის მემარცხენე ესერების ინტერნაციონალისტების ც. კ. კანდიდატის სეროვის (პარტიული სახელი „ვლასი") საქმე. სეროვს ბრალდებოდა განზრახვა შეიარაღებულ გაცარცვისა ქალ. ხარკოვში მოქალაქე ევნინის ბინისა—6 სხვა ამავე პარტიის წევრთან ერთად; ეს განზრახვა პარტიამ იცოდა და ნებაც დართო; იმ მიზნით, რომ გაეძლიერებიათ პარტიის მატერიალური საშუალებანი.

ამ თავდასხმის დროს ყველა მონაწილენი რევოლვერებით იყვნენ შეიარაღებულნი; მათ ყველა ბინაში მყოფი პირები რევოლვერებით დამუქრების წყალობით—ერთ ოთახში შერეკეს, მაგრამ თვით გაცარცვა ვერ მოხერხდა იმიტომ, რომ ასტყდა დიდი ალიაქოთი. თავდამსხმელები შეეცადნენ გადამალვას, ამისათვის რამოდენიმეჯერ გაისროლეს და დასჭრეს შემთხვევით გამვლელი ქალი.

გლავრევვოენტრიბუნალის განაჩენში ბრალდების ყველა მუხლები დამტკიცებულია... მაგრამ მიუხედავათ ამისა... სეროვი სასჯელისაგან განთავისუფლებულია, რადგანაც ის ეკუთვნის მემარცხენე ინტერნაციონალურ ესერების იმ ნაწილს, რომელიც „თუმცა სიტყვებით არა, მაგრამ მხარს უჭერს საბჭოთა მთავრობას და აგრეთვე იმიტომ, რომ სეროვი ძველი აქტიური რევოლიუციონერია". („იზვ". № 241).

ბათომი

მთავრობის განსაკუთრებულ რწმუნებულ გ. გიორგაძის მინდობილობით ოლქში გაემგზავრა რწმუნებულის თანაშემწე სულაქველიძე საგანგებო მინდობილობით. მან ადგილობრივ უნდა მოაწყოს საადმინისტრაციო აპარატი და მცხოვრებთა დახმარებით ოლქი მავნე ელემენტებისაგან გასწმინდოს.

განსაკუთრებული რწმუნებულის განკარგულებით შეჩერებულ იქნა გაზეთი „სამუსლიმანო საქართველო" მე-470 ნომერში მოთავსებულ მეთაურ წერილისათვის.

— მეორე უბნის კომისარ აკობრძიას მიერ მიღებულ ცნობებით გაჩხრეკილ იქნა ლაზარევის ქუჩაზე № 10 სახლში მგელაძისა, სადაც აღმოჩენილ იქნა ორი ყუმბარა კაპსულებით. რამდენიმე ოცდა ხუთ ლირიანი ყალბი ფული და „სმიტ ვესონის" რევოლვერი ვაზნებით. შეპყრობილ იქნა დაუდ და შაია მგელაძეები და შესაფერი ოქმით გადაეცა მილიციის უფროსს. („ბ. ფ.")

მიწად-მოქმედების სამინისტროში

მიწად-მოქმედების სამინისტროს მთავრობაში განსახილველად შეაქვს სამინისტროს სტატისტიკური განყოფილების მიერ შედგენილი მოხსენება რესპუბლიკის ქალაქთა მცხოვრებლების აღწერის შესახებ, რომელიც ამ მოკლე ხანში უნდა მოხდეს. ამ პროექტის შემუშავებას წინ უძღოდა სხვადასხვა ორგანიზაციების რამდენიმე თათბირი მცხოვრებთა აღწერის საკითხის გამოსარკვევად. რესპუბლიკის მცხოვრებთა აღწერის საჭიროებას ასაბუთებენ მით, რომ მსოფლიო ომმა, რევოლიუციამ და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამ გამოიწვია ხალხის ერთი ქალაქიდან მეორე ქალაქში გადაბარგება. აღწერის მიზანია გამოირკვეს ქალაქთა მცხოვრებლების მდგომარეობა, ბინის საკითხი და სხვ. აღწერამდის მოხდება მოქალაქეთა რეგისტრაცია საქალაქო არჩევნებისათვის. აღწერის მოსაწყობად და განსახორციელებლათ გამოთხოვილია 8.800.000 მანეთი.

— აფხაზეთში მცხოვრებ ბერძენთა ნაციონალურმა საბჭომ მთავრობის წინაშე აღძრა შუამდგომლობა აფხაზეთის ღარიბ ბერძენთათვის დასათესად 3.000 ფუთი ქერის მიცემის შესახებ.

— მიწად-მოქმედების სამინისტროს აზრათ აქვს 1921 წლ. შეუდგეს ყარაიაზის ეროვნულ მამულში ჩოსარწყავ არხების გაყვანას. ამ მუშაობის გათავების შემდეგ მიწულის სათესი ადგილის სივრცე 4.800 დესიატინით გადიდდება. ამ ჟამად სამინისტროს აზრათ აქვს მოაწყოს მუშათა „არტელი" ამ სამუშაოს აღსასრულებლათ. ყოველ დღიურად საჭიროა 6.350 შავი მუშა, 14 ქვის მთლელი და 170 დურგალი. სამინისტრო ფიქრობს მუშებს მისცეს ცხელი საჭმელი, ცხელი წყალი და სულზე სამი გირვანქა პური. (სდს).

ცენტრალური მომრიგებელი კამერა

შრომის სამინისტრომ შეადგინა ანგარიში ტფილისის ცენტრალურ მომრიგებელ კამერის მოღვაწეობისა ა. წ. იანვრის პირველიდან სექტემბრის პირველამდე. 8 თვის განმავლობაში კამერაში აღძრულა 442 საქმე 2356 მოსამსახურე და მუშისადმი. ყველა აღძრულ საჩივარში აღნიშნულ თანხის რაოდენობა უდრიდა 11,882,152 მან. მოპასუხე მეწარმოებელთა რიცხვი უდრიდა 521. თითოეულ საქმეზე 5, 3 მუშა მოდის. საქმეთა უმეტესობა ეხებოდა სალიკვიდაციო ჯილდოს მიცემის საკითხს, რომელსაც დღემდის ვერ შერიგებიან წარმოებლები. საქმეთა დიდ ნაწილს წარმოადგენს: ჯამაგირის მიუცემლობა, ერთდროული დახმარების თავის დროზე მიუცემლობა, უკანონოთ დათხოვა და სხვ. მომრიგებელ კამერის აღნიშნულ დროს განმავლობაში საბოლოო დადგენილება გამოუტანია 266 საქმის შესახებ, რაც მთელი საქმეების 60,18% უდრის. 119 საქმე განუხილველად დაუტოვებიათ, ამათში შედის ის საქმეებიც, რომელთა შესახებ შეთანხმება მომხდარა. ამ ხნის განმავლობაში კამერის სხდომა მომხდარა 81 კამერის შესანახავად 8 თვის განმავლობაში შემოსულა 221,358 მან. კამერის უმთავრეს შემოსავლის წყაროს შეადგენდა—პროცენტული გამორიცხვა მისჯილი თანხებიდან. (სდს)

სტუდენტების დახმარებისათვის

საერთაშორისო პირობებით გამოწვეულმა ეკონომიურმა არევ-დარევამ, ეკონომიური ცხოვრების დაშლამ მეტად ცუდ პირობებში ჩააყენა რესპუბლიკის მცხოვრებნი. ზღაპრული სიძვირის მთელი სიმძიმე აწვება მუშათა კლასს და დემოკრატიას. სახელმწიფოში არ არის არც ერთი დარგი, სადაც მუშა-მოსამსახურენი არ განიცდიდნენ მძიმე ნივთიერ გაჭირვებას. მაგრამ ჩვენს მუშებს და მოსამსახურეთ შეგნებული აქვთ მომენტის სიდიადე და ითმენენ. ასეთივე და შეიძლება უფრო მწვავე გაჭირვებაში იმყოფება ქართველი სტუდენტობა. სტუდენტობას დღეს არა აქვს საშუალება ნივთიერი გაჭირვებისა გამო მთელი თავისი ძალღონით, ჭაბუკური ენერგიით დაეწაფოს მეცნიერების შეთვისებას, ცოდნის მიღებას. განსაკუთრებით ის დიდი უმრავლესობა სტუდენტობისა, რომელიც დემოკრატიის წრიდან არის გამოსული, დღეს იძულებულია სამსახური ეძიოს, რომ ლუკმა-პურით უზრუნველჰყოს თავისი თავი. ლექციებზე სიარული, ლაბორატორიებში მუშაობა და საერთოდ სამეცნიერო შრომა მეორე ხარისხოვან საქმედ არის გადაქცეული. ეს, თავისთავად ცხადია, მეტად უარყოფითი მოვლენაა და სახელმწიფოებრივის თვალსაზრისით ძლიერ საზიანოა ჩვენი ქვეყნის მომავალი წინმსვლელობისათვის. სახელმწიფო გრძნობს ამ მოვლენის სიმწვავეს. დემოკრატიას შეგნებული აქვს ის მძიმე მდგომარეობა, რომელშიაც სტუდენტები იმყოფებიან, მაგრამ სახელმწიფოს ფინანსიური მდგომარეობა იმდენათ სუსტია, იმდენათ შერყეულია, რომ რაიმე საგრძნობი დახმარების აღმოჩენა სტუდენტობისათვის მოუხერხებლად ხდება. ამას, როგორც სჩანს სტუდენტების მოწოდებიდან, რომელიც დღეს ჩვენს გაზეთში იბეჭდება, სტუდენტებიც გრძნობენ. მათ შეგნებული აქვთ, რომ სტუდენტობის უზრუნველყოფა ფართო მასშტაბით დღესდღეობით სახელმწიფოს არ შეუძლია და ამიტომ ისინი მიმართავენ ფართო საზოგადოებას, განსაკუთრებით საზოგადოების შეძლებულ ნაწილს და სთხოვენ დახმარებას. ჩვენც მოუწოდებთ ქართველ საზოგადოებას რაც შეიძლება ფართო დახმარება აღმოუჩინოს სტუდენტებს. ჩვენის აზრით ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი კულტურული მომავლისათვის სტუდენტების რიგიანად აღზრდა განვითარებას. ჩვენ გვგონია, რომ ჩვენს ხალხს ისიც შეგნებული აქვს, თუ როგორ ესაჭიროება სახელმწიფოს სხვადასხვა დარგის სპეციალისტები, მცოდნე პირები და ამიტომ ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ სტუდენტების მოწოდება ფართო გამოხმაურებას ჰპოვებს ჩვენს ხალხში. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ მთავრობაც შესაძლებლობის ფარგლებში დაეხმარება სტუდენტებს და მით უზრუნველყოფს სახელმწიფოს მომავალ კულტურულ ცხოვრებას. აკ. ხ—უა.

მოწოდება

საკუთარის ძალითა და ღონით დღემდე გზას იკვლევდა, თითქმის ყველასაგან მიტოვებული ქართველი სტუდენტი. სამი წლის განმავლობაში დამხმარე არავინა ჰყავდა, მცირე გამონაკლისის გარდა, საკუთარი მარჯვენისა და ინიციატივის მეტი. მშობლებისაგან დახმარებას ხომ თითქმის ყველა მოკლებულია. ამ ხნის განმავლობაში, მან შესძლო მოეწყო თავისსავე დასახმარებლად ორიოდე ეკონომიურ-კულტურული ორგანიზაციისა, რომელთა საშუალებით ასობით სტუდენტს მცირე შეღავათი ეძლეოდა. ასეთი არის სტუდენტთა სასადილო, საერთო ბინები, კოოპერატივი, გამომცემლობა და სხვა...

დღეს თვით ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიური ძალა და სიმტკიცე შერყეულია. განსაკუთრებით ამას ქართველი სტუდენტი გრძნობს. გრძნობს ის, სულით და მთელის არსებით სამშობლოს გასაჭირს და გრძნობს პირადათ, მატერიალურად. ამას ანგარიში უნდა გაუწიოს ყველამ: სახელმწიფოებრივმა, საზოგადოებრივმა და კერძო ორგანიზაციებმა.

საერთოდ, სტუდენტობასთან ერთად მისი ორგანიზაციებიც სახელმწიფოსა და საზოგადოების ფართო დახმარებას საჭიროებენ... კერძოთ, სტუდენტთა სასადილო დღეს უკიდურეს გაჭირვებას განიცდის ყოველგვარ სურსათ-სანოვაგესა და მუშა ხელზე ფასების ზღაპრულად გადიდების გამო. იგი იძულებული ხდება ყველაფერი, წვითა და დაგვით შეძენილი, ან დააგირავოს ისე, რომ შემდეგ ვერ დაიხსნას და ისევ გამყიდველსა და გამომცემელს ხელი გაუწოდოს, ან ნაწილი ქონებისა გაყიდოს, რომ სტუდენტობას შედარებით იაფი სადილი მიაწოდოს. მაგალითად: მიუხედავათ იმისა, რომ არც ერთ ქალაქსა თუ სხვა დაწესებულების იაფფასიან სასადილოებში, რომელიც ბაზარზე იძენს სანოვაგეს, ისე იაფი არ არის სადილი, როგორც სტუდენტთა სასადილოში, ფასების აწევა მას არ შეუძლია, რადგან ღარიბი სტუდენტი ფას-აწეული სადილებით ვერ ისარგებლებს. ამიტომ სასადილო განიცდის თითქმის ყოველ თვეში დეფიციტს.

ყოველივე ამას გამო მოუწოდებთ ყველას, ვისაც კი გული შესტკივა ჩვენი ქვეყნის განათლებისა და განვითარებისათვის, რომლის შემსრულებელი ქართველი სტუდენტობაა; ყველას, ვისაც სამშობლო უყვარს, რომლის დამცველი გმირებით, საქმით და ხშირათ იარაღითაც კი ქართველი სტუდენტია; ყველას ვისაც ჩვენი მდგომარეობა განუცდია, მაგრამ ასე მწვავეთ კი არა და დღეს უზრუნველყოფილია; ვისაც აქვს სურვილი და მისწრაფება გაჭირვებაში მყოფ მოძმის დახმარებისა და შეძლებაც აქვს; და დასასრულ ჩვენი ქვეყნის უმტკიცეს ბჭეს ქალაქისა და სოფლის დემოკრატიას, რომლის შვილია ქართველი სტუდენტი, დაეხმაროს სტუდენტობას, რითაც შეიძლება, რომ მან შესძლოს თავისი დანიშნულების ღირსეულად შესრულება სამშობლოს საკეთილდღეოთ.

დახმარება მიიღება სტუდენტთა სასადილოში (სოლოლაკის ქ. № 2).

სახელმწიფო უნივერსიტეტში (სტუდენტთა გამგეობაში 6—8 საათამდე).

სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კავშირის მთავარი კამგეობა.

სულის კივილი

გული მომიკლეს, მომიკლეს გული,—
ვეღარ ვილხინო, ვეღარც ვიმღერო.
მოძმეთა ხელით მკერდ-დაისრული
ვფართხალებ, როგორც დაჭრილი წერო,

ვფართხალებ, ვიწევ, ვცდილობ აფრენას,
ძირს ვენარცხები, მემსხვრევა ფრთები,
სისხლი თქრიალით მიმატებს დენას,—
ფრინველი ცისა მიწას ვაკვდები.

გ ქუჩიშვილი.

რატომ გაიმარჯვეს?

„სახალხო საქმე"-ს № 987-ში, ახლობელი ეხება რა 21 ნოემბერს მომხდარ ბეჭდვითი საქმის მუშათა საზოგადო კრებას, ჰფიქრობს, რომ ბოლშევიკებმა—გაიმარჯვეს—მათ მიიღეს 261 ხმა, მაშინ როდესაც ჩვენი ამხანაგებისა და მენშევიკების საერთო სიამ მიიღო 262 ხმა. ეს ასე არ არის. არჩევნებში ბოლშევიკებმა კი არ გაიმარჯვეს, არამედ გაიმარჯვეს ბოლშევიკების, დაშნაკელების ესერების და საერთოდ საქართველოს დამოუკიდებლობის ყველა მტერთა საერთო სიამ.

261 ხმის მიცემა არ აიხსნება იმით, თითქოს შარშანდელი მენშევიკი დღეს აუტანელ მდგომარეობის გამო ბოლშევიკებს აძლევდეს ხმას—ასეთი ახსნა, თვალის დახუჭვა, არ დანახვა იქნებოდა იმისი, რასაც თვით ახლობელი აღნიშნავს:

მოიწონა ძველი გამგეობის მიერ გადადგმული ნაბიჯი, მოიწონა ის გზა, რომლითაც ძველი გამგეობა დადიოდა და ამავე დროს კრების ნახევარმა შეადგენლობამ ხმა მისცა ბოლშევიკებსო.

და ეს მოხდა იმიტომ, რომ ყველა უკმაყოფილო და საქართველოს დამოუკიდებლობის მტრები პირში ერთგულობას ეფიცებიან საქართველოს დემოკრატიას, მაგრამ ყოველ ხელსაყრელ შემთხვევაში მზათ არიან მის წინააღმდეგ იბრძოლონ, სამარე გაუთხარონ. ქართველ დემოკრატიას იმდენი მოქალაქობრივი გამბედაობა შესწევს და აქვს იმდენი შეგნება, რომ ის არასოდეს არ იკადრებს ვინმეს ზურგს უკან აგინოს და პირში არ უთხრას ის, რასაც გრძნობს. წინააღმდეგის დამტკიცება ქართველი დემოკრატიის გულწრფელობის შეურაცხყოფა იქნებოდა.

ახლობელის აზრით მუშებმა უნდა იბრძოლონ თავიანთ მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ მიუხედავათ იმისა, რომ არსებული „მთავრობას დიდი სურვილი აქვს მუშების გაბედნიერებისა". ახლობელს უნდა გაეგო, რომ არსებული მთავრობა მუშების მთავრობაა, მათი ნების ამსრულებელი, მათი ინტერესების გამომხატველი და ყოველივე ნაბიჯი, რომელიც გადადგმულა ან მომავალში გადაიდგმება, მიმართულია იქეთკენ, რომ გაუმჯობესებულ იქნას საქართველოს დემოკრატიის ინტერესები. ეს კარგათ აქვთ შეგნებული ჩვენს მუშებს სწორეთ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ მუშები მზად არიან ყოველივე გაჭირვება აიტანონ, მხოლოდ არ დაზიანდეს ჩვენი სახელმწიფოებრივი და არ შეჩერდეს მისი აღმშენებლობა.

მუშები უკმაყოფილონი არიანო, სწერს ახლობელი. მართალია, მუშების მდგომარეობა მძიმეა და ისინი მოითხოვდენ მდგომარეობის გაუმჯობესებას, როგორც კი საქართველოს მოადგა გარეშე საფრთხე, თვით იმავე მუშებმა დაადგინეს ყოველივე გაჭირვება მოითმინონ, სანამ მოსალოდნელი საფრთხე თავიდან არ არის აშორებული.

ეს უნდა სცოდნოდა ახლობელს; უნდა სცოდნოდა, რომ „ითმინეთ" მძართველ პარტიის მიერ არ არის თქმული, არამედ—მიღებულია თვით იმავე მუშების მიერ, რომელნიც წინეთ ითხოვდენ მდგომარეობის გაუმჯობესებას. მართალია, ამ დადგენილებაში მონაწილეობა არ მიუღიათ იმათ, ვინც ბოლშევიკების სიას მისცეს ხმა; მაგრამ ეს ადვილი გასაგებია,—ეს უცხო ელემენტები, საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ მებრძოლნი, ყოველ ასეთი გაჭირვების დროს მზათ არიან თავი წამოყონ და საქართველოს მუშების წინააღმდეგ ბრძოლა აწარმოვონ.

ყველასათვის აშკარაა, რომ იმ სიაში თავმოყრილია ყველა უკმაყოფილო და საქართველოს დემოკრატიისათვის არასასურველი ელემენტები და ასეთ ძალების მობილიზაციის წყალობით აიხსნება „ბოლშევიკების გამარჯვება".

დანი.

პროფესიონალურ კავშირებში

პროფ. კავშირთა საბჭოს სეკრეტარიატში.

ქალაქის მუშა-მოსამსახურეთა პროფესიონალურ კავშირმა შუამდგომლობა აღძრა სეკრეტარიატის წინაშე, რათა ხორბლის და ფქვილის მეთვალყურე აგენტებს, რომლებიც დატუსაღებულ იქნენ თავიანთ მოვალეობის ასრულების დროს ბოროტ-მოქმედებისათვის, წარუდგინოთ რაიმე განსაზღვრული ბრალდება; ხოლო იმ აგენტებს, რომლებიც ბრალდების წარუდგენლათ დათხოვნილ იქნენ სამსახურიდან, მიეცეთ სალიკვიდაციო დახმარება. თავის შუამდგომლობას ისინი ასაბუთებენ იმით, რომ თანახმად კავშირის გამოძიებისა, ხსენებული აგენტები არ არიან დამნაშავენი ცუდი ხარისხის პურის გამოცხობაში. ანალოგიური შუამდგომლობა აღძრა სეკრეტარიატის წინაშე ფქვილის დაფქვაზე. ტეხნიკურ ზედამხედველობის კომიტეტმა ამ საქმის გამოძიება სეკრეტარიატმა მიანდო 3 კაცისაგან შემდგარ სპეციალურ კომისიას, რომელმაც თავისი გამოძიების შედეგი უნდა წარუდგინოს სეკრეტარიატს ხუთშაბათს მომავალ სხდომაზე.

რესპუბლიკის დაცვის კომიტეტში სეკრეტარიატმა თავის წარმომადგენლად გაგზავნა ამხ. ბერეჟიანი.

დამფუძნებელ კრების შრომის კომისიაში, კვირას 28 ნოემბერს განხილულ იქნა მოხსენება შრომის სამინისტროს მოქმედებისა ამ ჟამად და ისი მომავალ მოქმედების გეგმის შესახებ. ამ საკითხზე დასასწრებლათ სეკრეტარიატმა თავის წარმომადგენლად დანიშნა ამხ. ჩხენკელი.

ამის შემდეგ სეკრეტარიატმა მოისმინა ამხ. ზარეცკაიას მოხსენება პროფ. კავშირების მუშაობის და იმ წესების შესახებ, რომელიც უნდა არსებობდეს ხსენებულ კავშ. მომავალში. სეკრეტარიატმა ეს საკითხი გადასცა განსახილველათ სეკრეტარიატისა და აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმებს, რომელიც შემდეგ წარუდგენს აღმასრულებელ კომიტეტისა და სეკრეტარიატის შეერთებულ სხდომას.

საავადმყოფო კასაში.

28 ნოემბერს შესდგა ტფილისის საერთო საქალაქო ფასის წარმომადგენელთა მრავალრიცხოვანი კრება. მოსმენილ იქნა მოხსენება იმის შესახებ, რომ გამგეობას განზრახვა აქვს გახსნას ამბულატორია კასის მონაწილეთა ოჯახის წევრთათვის და იმ მუშებისათვის, რომლებიც წარმოებიდან არ ღებულობენ საექიმო დახმარებას. რწმუნებულთა კრებამ მოიწონა მოხსენება და დაამტკიცა გამგეობის მიერ წარმოდგენილი ხარჯთ-აღრიცხვა. ამბულატორიის მოსაწყობათ გადადო 100,000 მანეთი. მის შესანახათ თვიური ხარჯთ-აღრიცხვა გამოანგარიშებულია 200,000 მანეთი.

ამის შემდეგ განხილულ და დამტკიცებულ იქნა გამგეობის მიერ შემუშავებული ინსტრუქცია შინაურ კომიტეტებისათვის. ამ ინსტრუქციით შინაურ კომიტეტებს ევალებათ თვალყური ადევნონ, რომ სწორათ იყოს ნაჩვენები წარმოებების მუშათა რიცხვი, სამუშაო ქირის რაოდენობა და რომ მუშებისაგან სიპროცენტო გამოკლება და მეპატრონეთა გადასახადი თავის დროზე შედიოდეს საავადმყოფო კასაში და სხვა.

საქართველოს საავადმყოფო კასათა კონფერენციაზე, რომელიც უნდა შესდგეს 4—5 დეკემბერს, ტფილისის საქალაქო საავადმყოფო კასის წარმომადგენლათ არჩეულ იქნენ: დერკოვსკაია, ლევანოვი, იაშვილი, ხელაძე, მაქსიმოვისა, შანიძე და მემარნიშვილი. კანდიდატებათ: დოლიძე, ბოგდანოვი და კუშეშოვი.

მიზანი ამართლებს საშუალებას

პასუხათ „ახ. კომუნისტის" თანამშრომელს ბ. ბარონს.

რკინის გზელების მორიგი ყრილობის მოწვევის დრო ახლოვდება. კომუნისტებმაც წამოყვეს თავი და ახალ ახალ თავდასხმებს აწყობენ რკინის გზელების წინააღმდეგ.

ალბათ, ასეთი განზრახვით აიხსნება „ახალ კომუნისტის" № 103-ში დაბეჭდილი ბ-ნ ბარონის ანგარებით აღსავსე ლვარძლიანი წერილი — „დაუდევრობა თუ ბოროტ მოქმედება", რომელიც მიმართულია რკინის გზის სასურსათო კომიტეტში მომუშავე ხელმძღვანელების წინააღმდეგ უმთავრესათ და დაწერილია მუშა-მოსამსახურეების საყურადღებოთ. ბ-ნმა ბარონმა, ალბათ, საჭიროთ დაინახა ახლა მაინც უკანასკნელათ გაესწორებია პარტიული ანგარიშები თავის მოწინააღმდეგე ამხანაგებისათვის.

დამახასიათებელია ის გარემოებაც, რომ ბ. ბარონი, როგორც თითონ ლაპარაკობს თავის წერილში, ორი წლის განმავლობაში უნებური მოწამე ყოფილა სასურსათო კომიტეტის ხელმძღვანელების მუშაობისა და, ქონდა რა დიდი ხნის შედგენილი გეგმები—კომიტეტის წინააღმდეგ გამოსულიყო,—შეაგროვა მთელი მასალები, სამხილი არსენალი, რაც კი შეიძლებოდა, და დაჭირა თუ არა რკინისგზელების ყრილობის მოწვევის ჟამმა,—ისიც არჩევნების სამზადისისათვის ისვრის ყუმბარას, რომ ააყენოს ჰაერში მხრჩოლავი კვამლის კორიანტელი.

მთავარი მოტივი სწორეთ ეს იყო, რამაც ბარონს ხელში აიღებინა კალამი და დაიწყო კრიტიკა სასურსათო კომიტეტის მოქმედებისა. მან შეთითხნა ცალ-ცალკე „საეჭვო" ფაქტები, რომ აჭრელებინა „კომუნისტის" ნახევარი ფურცელი.

ასეთი გზით და საშუალებით ადვილათ შესაძლებელია ბ. ბარონმა და მისმა კომპანიამ დროებით მიიპყრას ნერვიულ მდგომარეობაში მყოფ მასის ყურადღება და თავიანთი თავი იგრძნონ წამებულთა და მაშვრალთა დამცველის როლში. ახლა არსებითად შევუდგეთ ბარონის წერილის გარჩევას.

ჩვენ ყველამ ვიცით, თუ რა ადვილათ შეიძლება ხანდახან ბუზიდან სპილოს შექმნა. ეს სპილო ცოცხლათ ეჩვენება ზოგ გულუბრყვილო მკითხველებს, სანამ მას თითი არ შეახებ. ასეთი სპილო შექმნა ბ ბარონმაც თავის შეკრებილ დოკუმენტების და მასალების სახელოსნოში.

მთელი ორი წლის განმავლობაში ბ. ბარონი აღელვებული ყოფილა სასურსათო კომიტეტის წესებით. მაგრამ არ ვიცით,—რისთვის სდუმდა და მხოლოდ ეხლა, ამ უკანასკნელ ხანებში დაიწყო ლაპარაკი კომუნისტის ფურცლებზედ. თავის გამომჟღავნებას ბარონი იწყებს ფქვილიდან.

ჯერ ფილოსოფია წაუმძღვარა, რომ საქართველოში კარგი ფქვილი არ არის და მუშათა მასსა ამის გამო განიცდის გაჭირვებასო და მერე მოგვითხრობს, რომ სასურსათო კომიტეტს ქონია 3500 ფუთი თეთრი ფქვილი და მიუყიდია ეს ფქვილი ტფილისის პურის მცხობელთა ამხანაგობისათვის 1950 მანეთად ფუთი.

ეს იყო მაშინ, როცა სასურსათო კომიტეტი იღებდა პურის ფქვილს ამერიკელების კომიტეტიდან. ეხლა ეს ფაქტები აღელვებს ბარონ, ვინაიდან მისი ანგარიშით ხსენებულ ფქვილის რაოდენობას შეეძლო დაეკმაყოფილებია რკინის გზის მუშების ორი კვირის მოთხოვნილება კარგი ხარისხის პურით, თუ ამ ფქვილს მიუმატებდით ამდენივე ქერს. შემდეგ ბარონი განაგრძობს: „ასეთ ფქვილს მომარაგების სამინისტრო ყიდულობდა 2500 მანეთად-ო".

საჭიროთ ვსთვლით აღვნიშნოთ, რომ მომარაგების სამინისტროს ამ დროს არსად არ უყიდნია კანადის ფქვილი 1500 მანეთზე მეტად. ეს ერთი. მეორე—აღნიშნულ ბრალდების წამოსროლამდე ბარონისთვის საჭირო იყო გაეცნობოდა იმ მოტივებს, რომლებმაც აიძულეს სასურსათო კომიტეტი გაეყიდა ეს არც ისე დიდი რაოდენობა ფქვილისა და ცოტა ძალა დაეყენებია ბ. ბარონს თავისთვის, რომ გაეგო ამ ფქვილის შეძენის ისტორია. იმ დროს, თანახმად არსებულ ხელშეკრულებისა, იაფ პურის გამოსაცხობათ სასურსათო კომიტეტი იღებდა ფქვილს ამერიკელების კომიტეტიდან და შეიძლებოდა ამ ფქვილის გაყიდვა დახასიათებულიყო, როგორც ბოროტ-მოქმედება. მაგრამ ამ ფქვილიდან არ გაყიდულა არც ერთი გირვანქა. კომიტეტმა გაყიდა მხოლოდ ის ფქვილი, რომელიც შეძენილი იყო მის მიერ სავაჭრო ოპერაციებისათვის და გაყიდა ის მაშინ, როცა გამოაშკარავდა, რომ ახლო მომავალში კანადის ფქვილის მოტანა საქართველოში შეწყდებოდა. ამ ფქვილის გაყიდვა უნდა გაისინჯოს როგორც მოხერხებული ანგარიში, ვინაიდან კომიტეტი ფიქრობდა ადგილობრივ ხორბლის შეძენას, რომელიც ბაზარზე იყიდებოდა მაშინ 500 მანეთად და სიმინდისას, რომლის ფასი იყო 250 მანეთი. ამ ნაირათ, ყიდდა რა კერძოთ შეძენილ კანადის ფქვილს, აღებული ფულით კომიტეტს ქონდა შეძლება მუშა მოსამსახურეთათვის ეყიდა ბაზარზე ოთხჯერ მეტი რაოდენობა ადგილობრივ ხორბლისა, ან რვაჯერ მეტი სიმინდი.

მართალია, ეს ანგარიშები არ განხორციელდა, არ განხორციელდა იმიტომ, რომ ამ დროს მომარაგების სამინისტრომ თავს იდო რკინისგზელებისათვის იაფი პურის მოწოდება; მანვე აიღო ყველა ის პუნქტები კახეთში, სადაც რკინის გზის კომიტეტი წინათ ყიდულობდა ხორბალს. სამინისტრომვე გადაეცა შემსყიდველ აგენტების შტატი.

ამ მუხლს ბარონი უმატებს კიდევ რაღაცა „ხმებს". „ბოროტი ენები" თურმე ამტკიცებენ, რომ ნამდვილათ ფქვილი გაიყიდა არა 1950 მანეთად ფუთი, როგორც ეს იყო ქაღალდზე დაწერილი, არამედ 2100 მანეთად და თითქოს „ნახევარ მილიონ მანეთზე მეტი განსხვავება „აკულებმა" შთანთქეს".

მაგრამ ჩვენ არ ვიზიარებთ ამ ხმებს,—ამბობს ბ-ნი ბარონი. მაშ რათ გამოიტანა მან ქუჩაში ის ხმები, რომლებსაც თვითონვე არ უჯერებს? თუ თვითონ თავისი ბოროტი ენით შექმნა ბ. ბარონმა ეს „ხმები", რომ მერმე თვითონვე უარ ეყო მაგ? არაა სწორი ბ. ბარონის ანგარიში, რომ თითქოს ორი კვირის განმავლობაში სჭირდება გზას 3500 ფუთი. ნამდვილათ საჭიროა 18 000 ფუთი ფქვილი.

ბ. ბარონი მეცადინეობს, რომ მორიგი აბზაცი გადააბას წინეთ შეხსნულ ხმებს და ბოლოს, ლაპარაკობს რა, რომ კომიტეტს მართლა ესაჭიროებოდა ფული,—„უმაკურათ" სვამს კითხვას: რაზე დახარჯა ეს ფული? „ფქვილის გაყიდვიდან აღებული ფული კომიტეტმა დახარჯა თევზის კონსერვებზე, რომლის ფასებიც ბაზრის ფასებს არ ჩამოუვარდებოდა და ეს კონსერვებიც, გაკვირით ამბობს ბარონი,—ბოლო დრომდის საწყობში ეყარა და ნახევარი თითქმის გაფუჭდა." აქ იგივე ცილის წამებაა.

სასურსათო კომიტეტს აქვს დოკუმენტები, რომ ამ გაზაფხულზე მას მართლაც შეუძენია შესანიშნავი პარტია სხვა და სხვა კონსერვებისა, მაგრამ არა ბაზრის ფასებში, არამედ გაცილებით იაფად და გარდა ამისა 17% იაფათ, ვიდრე ქალაქის სასურსათო განყოფილებამ შეიძინა იგივე კონსერვები იმავე ფირმისგან. მაგრამ ეს კონსერვები შეძენილი იყო ყოველ შემთხვევაში იმ ფქვილის გაყიდვამდე, რომელიც ხელზედ დაუხვეწა ბატონ ბარონს. აქედან აშკარაა, რომ კონსერვები არ იყო ნაყიდი იმ ფულით, რომელიც [illegible]ბული იყო ფქვილის გაყიდვიდან, როგორც ამას ამბობს ბ. ბარონი. რაც შეეხება კონსერვების ფასებს, ისინი ეძლეოდა რკინის გზელებს ბაზრის ფასებთან შედარებით 3—4 ჯერ იაფათ. იმ დროს, როცა გირვანქა ხორცი ბაზარზედ ღირს 150 მანეთი, სასურსათო კომიტეტი ერთ გირვანქიან კოლოფ კონსერვს, მაგალითად კეფალს ან სკუმბრს, ჰყიდის 120 მანეთად, ბაზარზედ ღირს 150—200 მანეთი. ზაფხულში სიცხისაგან რომ არ გაფუჭებულიყო კონსერვები, ისინი დალაგებული იყო სარდაფში და გაფუჭებას, რომლის შესახებაც ბ. ბარონი სწერს, ადგილი სრულიად არ ქონებია.

თუნდაც ფქვილიდან აღებულ ფულით კომიტეტს შეეძინა მეტად ხელ საყრელ ფასებში კონსერვები, რომლებიც იყიდებოდა გაცილებით ხორცზე იაფად, პარტიული ქიშპიანობით დაბრმავებული ბარონი რაში ხედავს: „დაუდევრობას, თუ ბოროტმოქმედებას?".

მორიგი ზღაპარია შაქრის შესახებაც, „რომ კომიტეტი ვერ ართმევს ალღოს მუშათა საჭიროებას, და მას ქონებას სწორედ ვერ უძღვება,—განაგრძობს ის, ეს იქიდანაც სჩანს, რომ მან თითქმის მუქთად გაყიდა ერთად-ერთი თავისი განძი—ერთი ვაგონი ძველი ბროდსკის შაქარი. შემდეგ ამ შაქრის რეალიზაციისათვის კომისიონერისთვის მიუციათ 24000 მანეთი. აგრეთვე ლაპარაკია რაღაც ფულების „პაკეტებზედ", რომელიც როგორც საჩუქარი თითქოს განაწილებული ყოფილიყოს ვიღაც მოსამსახურეების შორის, ნამდვილ ფაქტის (საკომისიო გასამრჯელოს მიცემა, რაშიაც არაფერი გასაკვირი არ არის) და ჭორების გადაბმაში ცხადად სჩანს ბარონის ბოროტი განზრახვა—ქუჩურ ჭორებს მისცეს სინამდვილის ხასიათი, რომ ჩვეულებისამებრ კომიტეტის მოქმედებაში მოაჩვენოს მკითხველს „დაუდევრობა თუ ბოროტმოქმედება". ყველა ეს „საჩუქრები", როგორც ხედავთ, აგებულია იმავე ხმებზე, რომლებსაც ბ. ბარონი თითქოს არც კი უჯერებს, მაგრამ დიდი ხალისით ეძლევა, მიუხედავათ იმისა, რომ მას ხელში აქვს „დოკუმენტები და მასალები". ალბათ, ამ მიკიბულ-მოკიბული ხმების გარეშე მისი მიზანი ძნელი მისაღწევია.

შაქრის გაყიდვის შესახებ მოგახსენებთ, რომ ის გაიყიდა იმ ხარჯების დასაფარავად, რომელიც გაწეული იყო სასურსათო კომიტეტის მიერ იაფი პურის მიცემაზე, რადგან გამოცხვარი პური ურიგდებოდა მუშა-მოსამსახურეებს გაცილებით დაბალ ფასებში, ვიდრე ჩვენ თვითონ გვიჯდა ეს პური. შაქარი გაყიდული იყო მთავრობის დადგენილებით. ამისი დამამტკიცებელი დოკუმენტები კომიტეტს აქვს.

სასურსათო კომიტეტი პურს უშვებდა ღარიბულებაზე გაცილებით ნაკლებ ფასებში. ამ ზარალის დასაფარავად, 29 ოქტომბერს 1918 წელს მთავრობის დადგენილებით, მიღებული იყო სასურსათო კომიტეტის მიერ მთავრობიდან 2400 ფუთი შაქარი 750 მანეთად ფუთი, მაგრამ შაქრის ამ პარტიიდან, რომელიც, როგორც იყო ნათქვამი, მიცემული იყო ფულის მაგიერათ დეფიციტის დასაფარავათ, სასურსათო კომიტეტმა გაყიდა განზე მხოლოდ ნახევარი ვაგონი შაქრისა, და არა მთელი ვაგონი, როგორც ჩვეულებისამებრ დამახინჯებულათ ამტკიცებს ბარონი. დანარჩენი ნაწილი კი კომიტეტმა საჭიროთ დაინახა შაქრის კრიზისის დროს დაერიგებია მუშა-მოსამსახურეებისათვის 3 მანეთად გირვანქა, რაშიაც კომიტეტმა აშკარა ზარალი ნახა იმ დროს, როდესაც შეეძლო და ამის უფლებაც ქონდა გაეყიდა ეს შაქარი კერძო პირებზე უფრო ძვირათ. რაც შეეხება ბ. ბარონის მტკიცებას, რომ ნახევარი ვაგონი შაქარი კომიტეტმა გაყიდა მეტად იაფად,—უნდა შევნიშნოთ, რომ შაქარი გაყიდული იყო შეჯიბრებით და მიიღო ის მან, ვინც მეტი ფასი მოგვცა. ბარონის მითითება იმაზე, რომ ბაზარზედ ასეთი შაქარი ერთი კვირის შემდეგ იყიდებოდა ორჯერ ძვირათ და რომ ეხლა უფრო მდარე შაქარი ექვსჯერ ძვირათ ფასობსო, —სრულიად გაუგებარია. ასეთივე მეთოდით შეეძლო ბ. ბარონს ეანგარიშებია შაქრის გაძვირება კიდევ ერთი წლის შემდეგ და უფრო შორსაც, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს?

შემდეგ მიყვება პერსონალური ბრალდებები. რწმუნებულს ვ. ბოკერიას ბრალს სდებენ იმაში, რომ მან იყიდა სასურსათო კომიტეტის დავალებით ბათომში კოსტიუმები, „რომლებიც ბოლო დრომდე მაღაზიაში ეყარა და ერთ მუშასაც არ უყიდნია სიძვირის გამო" და რომელიც „ძლივს თავის ფასებში გაასაღეს სპეკულიანტებზე და მოსაშველის საკომისიო 27,000 მანეთი მისცეს". ამ „მომგებიან ოპერაციის" ბ. ბოკერია მოუნდა მთელი თვე და დღიურების სახით მიიღო 20,000 მანეთი". ცხადია, ყველა ეს ძალიან შორსაა ჭეშმარიტებისაგან. კოსტიუმები იყიდებოდა გაცილებით იაფად ბაზრის ფასებთან შედარებით და ძალიან ჩქარაც გასაღდა მუშა მოსამსახ. ეს ერთი. მეორე ის, რომ კოსტიუმები, რომლებიც თავიანთი ფასით რკინის გზელებისათვის ხელმისაწვდომელი იყო სიძვირის გამო, დაითმო სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, მაგრამ არა თვით ღირებულ ფასებში, არამედ კანონიერ პროცენტების დამატებით. არავითარი ზედმეტი ხარჯები საკომისიო სახით სასურსათო კომიტეტს არ გაუწევია ამ საქმეზე. აქვე აღვნიშნავთ, რომ ძვირათ ღირებული კოსტიუმები იძულებული ვიყავით შეგვეძინა, ვინაიდან გამყიდველი არ გვითმობდა მარტო იაფ ფასიან კოსტიუმებს. კოსტიუმების პარტიაში იყო როგორც იაფი, ისე ძვირი კოსტიუმებიც.

რაც შეეხება 20,000 მანეთს, რომე

ლიც ბოკერიამ მიიღო, ეს ფულები მიცემული იყო სრულიად კანონიერად თვენახევრის განმავლობაში ბათომში ყუთის გამო დღე ურების სახით. რაც შეეხება 15,000 მან. დახმარებას, რომელიც მან მიიღო ექიმობისათვის, მიეცა მას ეს ფული ორჯერ თხოვნის შემდეგ სასურსათო კომიტეტის დადგენილებით ექიმის მოწმობის მიხედვით, თანახმად გზაზე არსებულ წესებისა. და ასეთი დახმარებით ისარგებლა არა მარტო რწმუნებულმა ბოკერიამ, არამედ სასურსათო კომიტეტის სხვა დაბალ აგენტებმაც, მაგ., ანთიძემ, ჩიქოვანიძემ, ლუხუტაშვილმა და სხვებმა, მაგრამ მათ შესახებ ბარონი სდუმს, თუმცა მან ყველაფერი კარგად შეისწავლა ორი წლის განმავლობაში და მოყავს მარტო ვაგონდუქნის მოანგარიშე ვ. ტრიასკო, რომელსაც ექიმობისთვის დახმარებაში ერთი თვის ჯამაგირის რაოდენობით თითქოს ფული უთხოვის. აღნიშნული პირი ილებდა ხვედრ ჯამაგირს ავადმყოფობის დროს თითქმის ოთხი თვის განმავლობაში, მიუხედავად იმისა, რომ ავად გახდომამდე მსახურებდა კომიტეტში მხოლოდ ერთი თვე.

რწმუნებულს ვ. თხილავას უყენებენ ბრალდებას, რომ მას მომარაგების სამინისტროს ნებართვით ბათომში გაუგზავნია ზეთი. რა ბოროტებას ხედავს ბარონი ამ კომერციულ აქტში? იმ დროს საქართველოში ბევრი ზეთი იყო, მისი რაოდენობა სჭარბობდა მოთხოვნილებას. ბათომში კი მარტში ზეთზე დიდი მოთხოვნილება იყო და სასურსათო კომიტეტმა სრულიად მიზანშეწონილად ისარგებლა ამით, რომ გაეყიდნა თავისი სამარაგო თანხა. საინტერესოა შეეკითხოთ ბარონს,—რად დასჭირდა ზეთზე და თივაზე ლაპარაკი, როცა მან, თუ მას არ ღალატობს მეხსიერება, კარგათ იცის რა პირობებში და რით იყო გამოწვეული ზეთის და თივის გაყიდვა, რაშიაც თითონაც მიიღო მონაწილეობა რჩევის სახით.

რაც შეეხება იმ ლეგენდას, რომელიც შექმნილია 27 რაიონული მაღაზიის ირგვლივ, თითქო ეს მაღაზია აკმაყოფილებდა სასურსათო კომიტეტის და ცენტრალური გამგეობის წევრთა მოთხოვნილებებს,—უნდა ვსთქვათ, რომ ამ სასურსათო რაიონში ნამდვილად ირიცხებოდა 4.000 მდე სული და ნუ თუ საჭიროა მტკიცება იმისა, რომ ამ მაღაზიით სარგებლობდნენ, გარდა ბარონის მიერ ნაჩვენები პირებისა, ყველა მოსამსახურენი სტატისტიკურ განყოფილების, კონდუქტორების განყოფილების, კავშირის ცენტრალური გამგეობის, სასურსათო კომიტეტის, მილიციის და სამოსწავლო განყოფილების და ალბათ ბარონიც, რომელიც ორი წლის განმავლობაში მოწამე იყო კომიტეტის მოქმედებისა.

მაგრამ, ვინაიდან იყო მითქმა-მოთქმა ამ მაღაზიის ირგვლივ, ის უკვე დაკეტილია კარგა ხანია და მისი ბინა მიცემული აქვს სასურსათო კომიტეტის მეველეებზე და ყოველგვარი ლაპარაკი ამის შესახებ ისე შორსაა ჭეშმარიტებისაგან, როგორც ცრუ მტკიცება იმისა, თითქო რწმუნებულ თხილავას კაბინეტი წარმოადგენდეს რაღაც დუქანს, სადაც ხდებოდეს წინასწარი განაწილება საქონლისა, რასაც არასდროს არ ქონია ადგილი. ეს იყო მხოლოდ ჩვეულებრივი სიცრუე. ყველა საქონელი, რომელსაც იძენს კომიტეტი, მიდის საწყობში და იქიდან ნაწილდება კოოპერატივებს შორის.

შემდეგ ბარონი, სარგებლობს რა იმით, რომ მკითხველი ვერ გაარჩევს შემოკლებულ ნიშნებს (ლზჰ 27), ჩირქს სცხებს თხილავას იმით, რომ მისი გვარი და ფაქტურის ნომერი 10093 ერთად მოყავს ცხრილში. რა შუაშია აქ თხილავა და მისი კაბინეტი, როცა ბარონის მიერ ჩამოთვლილი და ჩამოსათვლელი საქონელი იმის გამოწერილია ლზჰ 27 სახელზე (ეს არის შემოკლებული სახელი რკინის გზის მე 27 რაიონის კოოპერატივისა სადაც ითვლება, როგორც ზევით იყო ნათქვამი, 4,000 სული).

რაც შეეხება ერბოს და ყველს, თითქო ისინი დარიგებულიყოს ერთ ჯგუფს იაფ ფასებში, ხოლო მაღაზიებში კი გაყიდულიყოს გაცილებით ძვირათ, უნდა ითქვას, რომ აქაც აქვს ადგილი ფაქტების ჩვეულებრივის არა კეთილსინდისიერად სარგებლობას. ერბომ ჯგუფმა კერძოთ მოაწყო ამ საქონლის შესყიდვა და ეს საქმე მიანდო კომიტეტის აგენტს აბაშიძეს, რომელიც ამ დროს ყიდულობდა ყველს და ერბოს სასურსათო კომიტეტისთვის. აბაშიძის მიერ შესყიდული სანოვაგე მაშინ მოსამსახურეებს ურიგდებოდათ—ყველი 40—45 მანეთად გირვანქა, ერბო კი 120 მანეთად. შეცდომით ამ აბაშიძემ ვერ შეატყობინა სასურ. კომიტეტს, რომ ამ სანოვაგის იმ პარტიაში, რომელიც გამოგზავნილი იყო კომიტეტისათვის, იყო აგრეთვე კერძოთ შეძენილი საქონელი. მთელი ეს საქონელი დაურიგდა მაშინ კოოპერატივებს და აღნიშნული ჯგუფი დარჩა ხელცარიელი. შემდეგ მოგვიხდა მათი დაკმაყოფილება შემდეგ მიღებულ პარტიიდან და თუმცა-ღა მაშინ ერბოზე ახალი ფასი იყო დაწესებული 300 მან. და ყველზე 120 მან., მაგრამ ზემოდ აღნიშნულ გარემოების გამო ამ ჯგუფს მივეცით ერბო 150 მან. და ყველი 50 მან. საჭიროა აგრეთვე მოვუთითოთ, რომ „კომუნისტში“ ჩამოთვლილმა პირებმა შეიძინეს არა თავისთვის მარტო, არამედ სხვებისთვისაც და მიღებული სანოვაგე განაწილდა რამდენიმე ოჯახს შორის. საინტერესოა ვკითხოთ ბარონს, რატომ უთითებს ის იმ ერბოზე, რომელიც 300 მან. გაიცა და ავიწყდება ის დიდი პარტია ერბოსი, რომელიც გაიყიდა მაღაზიებში 120 მანეთად გირვანქა ან ყველი 40—45 მან. გირვანქა?.. საბნების და ზეწრების შესახებ, რომელიც ბარონის სიტყვით, თითქოს ხაზზედ იყიდებოდა უფრო ძვირად, ვიდრე აქ, თავისთავის,—ვაცხადებთ: შეიძლება მოყვანილ იქნას ბევრი უკუღმა მოვლენაც, ე. ი. აქ, ცენტრში უფრო ძვირათ გაყიდულიყოს ის საქონელი, რომელიც შეიძლება ხაზზედ გაცემული იყო უფრო იაფად. ეს დამოკიდებულია საქონლის ღირებულებაზე და მისი შეძენისა და გასაყიდად გამოშვების დროზე. მაგალითისათვის შეგვიძლიან მოვიყვანოთ ამხ. ნასიძე, რომელიც არის ცენტრალური გამგეობის წევრი და რომელმაც ბ. ბარონის მიერ ნაჩვენებ საბანში 4000 მანეთი მისცა და არა 1500 მანეთი.

თუ სამხედრო ნაწილს მივყიდეთ ზეწრები 3000 მანეთად,—რა არის აქ გასაკვირი და ხელზე დასახვევი? ამას მოითხოვდა კომერციული ანგარიში.

რაც შეეხება ოთხ ფეხ საქონელს (ძროხებს და ხბოებს), სასურსათო კომიტეტს არც ამ შემთხვევაში აქვს რაიმე საიდუმლოება. გადაწყვეტილება, რომ ამ დასაკლავათ შეძენილ საქონლის ლიკვიდაცია გვექნა, გამოტანილ იქნა მაშინ, როცა გავიგეთ, რომ [illegible] აძლევდნენ კომიტეტს განსაზღვრულ ზარალს. საქონელი გაიყიდა ქალაქის სასაკლაოზე არსებულ ფასებში და საქონელი შეისყიდა არა იმ პირებმა მარტო, რომლებზედაც უთითებს ბ. ბარონი, არამედ რკ. გზ. სხვა მუშა-მოსამსახურეებმაც და უმთავრესათ კერძო პირებმაც. ეს საქონელი გაიყიდა იანვარში და თებერვალში და მაშინვე წაიყვანეს მყიდველებმა. ამ საქონლის გაყიდვა მინდობილი ქონდა კომიტეტის წევრს კალაძეს, რომელიც ერთი კვირის განმავლობაში ყოველ დღე საქონელს არეკინებდა სასაკლაოზე შეჯიბრებით გასასყიდათ. დიდი ნაწილი შეიძინეს კერძო პირებმა და მცირე მუშა-მოსამსახურეებმა, მაგრამ არც ერთ მათგანს არც ერთი გროშით ნაკლებ არ შეუძენიათ შედარებით კერძო პირებთან.

ის ერთად ერთი ფაქტი, რომლის, უარყოფა სავსებით არ შეგვიძლია, არის კერძო შემთხვევებში კრედიტის სისტემა. ნისიად საქონელს ჩვენ ვძლევდით კერძოთ ისეთ შემთხვევებში, როცა სასურსათო კომიტეტი დარწმუნებული იყო, რომ ყოველგვარ ტეხნიკურ პირობების გართულების გამო შეიძლებოდა ამ ნისიის აღება. ნისიათ ეძლეოდა საქონელი განსაკუთრებულ შემთხვევებში არა მარტო ცენტრალურ გამგ. წევრებს, არამედ რკ. გზ. ორგანიზაციებიდგან სხვა პირებსაც. ამასთანავე კომიტეტის მთავარ ბუხჰალტერს, რომელსაც შეეძლება იცნობდეს კიდეც ბ. ბარონი, რამდენჯერმე განუცხადებია, რომ საბუხჰალტერო ანგარიშებისათვის ასეთი კერძო ხასიათის კრედიტები არავითარ გართულებას არ გამოიწვევსო. აქაც ისე არაა საქმე, როგორც ფიქრობს ბარონი. სასურსათო კომიტეტმა, თანახმათ ოქტომბერში მიღებულ დადგენილებისა—იქნეს მიღებული მომავალში კრედიტით გაცემა გამონაკლისის სახითაც კი, რასაც დღემდე ჰქონდა ადგილი, მიიღო სათანადო ზომები: ბარონს ჯერ კიდევ არ ჰქონდა უკანასკნელად აკინძული ორი წლის განმავლობაში შეგროვილი „მასალები“ და „დოკუმენტები“, რომ სასურსათო კომიტეტმა 19 ნოემბერს დაუგზავნა თავის მოვალეებს ანგარიშები მოთხოვნა შემოეტანათ მათ ფული დროზე.

ამ ნაირათ ყველა იმისგან, რაც ბარონმა სთქვა და დაწერა, არავითარი ცუდი სასურსათო კომიტეტის შესახებ არ არის და არც შეეძლო მოეთხრობა „კომუნისტ“-ის ნებსით და უნებლიეთ მკითხველისთვის რაიმე ცუდი, თუმცა ნამდვილათ ეს წერილი მოთავსებული იყო ქუჩაში სენსაციის გამოწვევის ანგარიშით. ჩვენ ვიცით თუ რისთვის დასჭირდა ბარონს გამოსვლა „კომუნისტი“-ს ფურცლებზე ასეთი მასალებით რკინის გზელთა ყრილობით წინ და ვიცით, რა აზრებით ხელმძღვანელობდა „კომუნისტ“-ის რედაქცია, როცა ათავსებდა ასეთ წერილს, მაგრამ ტყვილად ფიქრობს „კომუნისტი“, რომ ამ ნაირ ანკეტით წამოეგება შეგნებული რკინის გზის დემოკრატია.

საქ. სახ. რკ. გზ. სასურ. კომიტეტი.

მთავრობაში

ნოემბრის 20 სხდომამ მთავრობამ დაამტკიცა სავალუტო ოპერაციის შემოღებისათვის საჭირო ინსტრუქციები, რომელიც შედგენილია 1920 წ. ოქტ. 16 განსაკუთრებულ თათბირის მიერ შემუშავებულ სავალდებულო დადგენილების მე-9 მუხლის თანახმად. ინსტრუქციის ძალით საქართველოს სახელმწიფო ბანკი იძლევა ნებართვებს შეიძინონ უცხო ვალიუტა იმ საკრედიტო დაწესებულებებში, რომელთაც უფლება აქვთ სავალიუტო ოპერაციების წარმოებისა: 1) საზღვარ გარეთ გასამგზავრებლად; შეიძლება უცხო ვალიუტა გადაეგზავნოს საზღვარ გარეთ მცხოვრებ ქართველებს და საქართველოში მცხოვრებ უცხოელ ოჯახებს. 2) უცხო ვალიუტის შეძენა შეიძლება აგრეთვე სავაჭრო საქონლის მიწერისათვისაც და სხვ. საჭირო არ არის განსაკუთრებული ნებართვა კანონით განსაზღვრულ (100 გირვანქა სტერლინგი) უცხო ვალიუტის გასატანათ. თუ ნიხრზე მეტ ვალიუტის გატანის ნებართვით არ უსარგებლიათ იგი უკანვე უნდა იქნეს დაბრუნებული, თუ მით უსარგებლიათ ნაწილობრივ, უნდა აღინიშნოს როდის, რომელ დაწესებულებაში, რამდენი და რამდენი ვალიუტა იყო შეძენილი. შინაური დაზღვევა ხდება მარტოთ მარტო ადგილობრივი ბონებით; დამზღვევ საზოგადოებებს უფლება ეძლევათ მიიღონ ჯილდოები უცხო ვალიუტით (იგი სახელმწიფო ბანკში უნდა ინახებოდეს). გადაიხადონ გემებისა და მათი მოსამსახურეებისთვის მისაცემი ფული უცხო ვალიუტით და სხვა. კერძო ბანკებმა ყოველ დღიურად უნდა წარუდგინონ სახელმწიფო ბანკს ცნობები ვალიუტის ყიდვა გაყიდვის ანგარიშების შესახებ, მიუხედავათ ამისა მოხდა თუ არა ამა თუ იმ დღეს ოპერაციები უცხო ვალიუტით.

— მთავრობამ მოიწონა რა პროექტი დეკრეტისა გორის ციხის შეკეთებისათვის საჭირო თანხის გადადების შესახებ, დაადგინა: ეს პროექტი მიეღოს და დასამტკიცებლად დამფუძნებელ კრებას გადაეცეს.

— იუსტიციის მინისტრის წარდგენით მთავრობამ დაადგინა: სამსახურის მოვალეობიდან განთავისუფლდეს თფილისის სასამართლო პალატის პროკურორის ამხანაგი ყ. ნიჟლი თანახმად მისივე თხოვნისა.

— იუსტიციის მინისტრის წარდგენით ქუთაისის საოლქო სასამართლოს წევრი იამანიძე დაინიშნა პროკურორად.

— შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ წარმოდგენილი მოხსენების თანახმად, რომელიც შეეხებოდა ოზურგეთის მაზრის ერობისათვის საჭირო თანხის მიცემას მდინარე გუბაზეულზე ხიდის გასაკეთებლად, მთავრობამ დაადგინა: მიეცეს ოზურგეთის ერობას ხიდისთვის საჭირო მასალების შესაძენათ სათანადო თანხა. წინადადება მიეცეს გზათა დეპარტამენტს, რომ მან აღნიშნული თანხა გადასცეს ერობას, დანარჩენი ხარჯი დაეკისრება ოზურგეთის ერობას.

საპენსიო კომისია და მომავალი პენსიონერები

ორი წელიწად ნახევარია, რაც დამოუკიდებლად არსებობს საქართველოს რესპუბლიკა. ამ ხნის განმავლობაში ბევრი კარგი საქმე გაკეთდა, მაგრამ ბევრი საკითხი ჯერ კიდევ გადაუწყვეტელია.

ერთ ასეთ საკითხთაგანს შეადგენს საპენსიო საკითხის გადაწყვეტილობა, ვინ იცის რამდენი ოჯახი გაუბედურდა საქართველოს ომების დროს, რამდენი ჯარისკაცი თუ აფიცერი დაიღუპა ბრძოლის ველზე, სამშობლოსადმი თავიანთი მოვალეობის აღსრულების დროს და მათი ოჯახები დარჩა ღვთის ანაბარად. სახელმწიფო მოვალეა რამდენადმე მაინც მატერიალურად უზრუნველჰყოს ასეთი ოჯახები, მაგრამ ჯერ ჯერობით ეს დახმარება არ არის მოწყობილი.

მართალია, გამოვიდა 1919 წ. 31 იანვარს დროებითი წესები ომში დახოცილთა ოჯახების დახმარების შესახებ, მაგრამ ვიდრე ამ კანონით რამეს მიიღებდეთ, იმდენი წვალება დაგჭირდებათ, მოწმობების ძებნა და კანცელარიებში სიარული, რომ თავი მოგაბეზრდებათ და მზათა ხართ უარი სთქვათ ყველაფერზე.

ასეთი გარემოებით უკმაყოფილო მოხუცებული იმედებს ამყარებს მომავალზე და ფიქრობს; დღეს თუ ხვალ პენსიის კანონები გამოვა და ჩემს კუთვნილს მივიღებო, მაგრამ დრო მიდის, ოჯახის მდგომარეობა თანდათან აუტანელი ხდება და პენსიის კანონის გამოსვლას არაფერი ეშველა. ხუთი თვე იქნება, რაც მთავრობის თუ დამფუძნებელი კრების გადაწყვეტილებით შესდგა საპენსიო კომისია, რომელსაც დავალებული აქვს პენსიის წესდების გამომუშავება, და საკვირველი რა არის, რომ ამ ხნის განმავლობაში ეს საკითხი ვერ გადაწყდა.

საჭიროა პრესა გამოეხმაუროს ამ საკითხს და სათანადო დაწესებულებებმა აღძრან საჭირო შუამდგომლობა, რომ ეს საქმე დროზე გადაწყდეს და საზღვარი დაედოს მომავალ პენსიონერთა მოთმინებას. ი. ბ.

ს.-დ. პარტიაში

თფილისი. 26 ნოემბერს მოხდა საქ. სოც. დემ. პარტიის ჩუღურეთის მცირე კოლექტივის წევრთა საერთო კრება. კრების თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ამხ. ს. ტალახაძე, მდივნათ შალვა გომართელი.

დღიურ წესრიგს შეადგენდა: 1) მოხსენება კოლექტივიდან, სხვა და სხვა კომისიების მოხსენებები და განცხადებები. კრებას დაესწრო მეორე კოლექტივის წევრი ამხ. ს. ქიტიაშვილი, რომელმაც კრების გახსნამდე მოხსენება გააკეთა იმ ბოროტ-მოქმედებებზე, რომელთაც ადგილი აქვთ სხვა და სხვა სახელმწიფო, თუ საზოგადოებრივ დაწესებულებებში. ქიტიაშვილის მოხსენება მიღებულ იქნა ცნობად. მეორე რაიონულ კოლექტივიდან მოხსენებას აკეთებს ამხ. კ. ბაქრაძე, რომელმაც კრებას აუწყა ინტერ-პარტიული კომიტეტის დაარსება, მისი როლი; აგრეთვე აუწყა აღერბაიჯანის საბჭოთა მთავრობასთან დადებული სავაჭრო ხელშეკრულება.

ნ. ჟორდანიას სახელობაზე არსებულ ბიბლიოთეკა-სამკითხველოს და მცირე კოლექტივის სასარგებლოდ წარმოდგენის მომწყობ კომისიის სახელით მოხსენებას აკეთებს ამხ. ნ. იტრიევი, კომისია ამ მოკლე ხანში გამართავს წარმოდგენას სახალხო სახლში.

მდივანი: შალვა გომართელი.

მუშათა შორის

ტრამვაის მუშა-მოსამსახურეთა ცხოვრებიდან.

ტრამვაის მუშა-მოსამსახურეთა ცხოვრებაზე, წინათ უფრო მეტი წერილები იწერებოდა, ვიდრე დღეს. მაშინ, მიუხედავათ პოლიტიკური და ეკონომიური მონობისა, მუშათა კლასი გაცილებით უკეთეს პირობებში იყო ეკონომიურათ, ვიდრე დღეს. დღეს პოლიტიკური თავისუფლება მუშათა კლასის ხელშია, ხოლოდ ეკონომიურად ჩვენზე ბატონობენ. ამას აქვს თავის მიზეზები, რაზე დაწერილა და იწერება მრავალი წერილები, მაგრამ სიმშილი, სიცივე, სიტიტვლე გვაჩანჩავს, გვაწუხებს ყველას. სხვა მუშებთან ერთად ტრამვაის მუშების მდგომარეობაც კატასტროფიულია. ზამთარი დადგა, მტკვარი გაიყინა, და ტრამვაის მუშა-მოსამსახურეებიც იყინება უშეშობით. ჯოჯოხეთური მუშაობა აქვთ ზამთარში ვატმან-კონდუქტორებს—და ეს დაცვეთილი ხალხი სადამოს მაინც უნდა გათბეს. მუშა-მოსამსახურეები სიმშილის წინა ვდგევართ იმ დროს, როცა აქვე მის ახლოს ნებივრობენ, უზომოთ ფლანგავენ ბონებს, 100 ათასებს არ იშურებენ გასამრჯელოთ მიცემას იმისთვის, ვინც ოთხ ექვს ოთახს უშოვნის. საუკეთესო კაფე რესტორანებს ივსებენ, რომ უკეთესი სიამოვნება მიიღონ. მთელი ღამეები, დარბაზები და ზალები გაჩირაღდნებული აქვთ იმ დროს, როცა ჩვენი მატარებლები უშეშობით ათი ხუთმეტი საათით და ხან უფრო მეტით აგვიანებენ. ეს იმ დროს, როდესაც საქართველოს მუშათა უმრავლესობა უნავთობით საშინელ სიბნელეში სხედს.

ყველა ამას უყურებს მუშათა კლასი და ეძებს საშუალებებს მასთან საბრძოლველად. ამისთვის იყო მოწვეული ეკონომიური თათბირი, კიდევაც შეიმუშავა ზომები მასთან საბრძოლველად, მაგრამ, სამწუხაროდ, ცხოვრებაში ეს ზომები კუს ნაბიჯით ტარდება.

ერთი ზომა რომლის ცხოვრებაში გატარება არც თუ ისე ადვილია, მაგრამ მუშათა კლასისთვის კი იგი სასარგებლოც არის და საჭიროც არის ეკონომიურ თათბირზე მიღებული რეზოლიუცია თფილისიდან პარაზიტების ყველა გაძევების შესახებ, რომელნიც მაჯლაჯუნასავით დაწოლია თფილისის მუშათა კლასს და ღრღნის მას? რატომ არ ტარდება ის ცხოვრებაში? ნუ თუ დიდხანს გასტანს ფლანგვა, მუშათა კლასის დაგროვილ სიმდიდრის, მუქთა ხვრა, პარაზიტების მიერ? ნუთუ ვერ შევძლებთ მათ გაწმენდას, ან იძულებითი შრომის დაკისრებას. თუ გვინდა მუშათა კლასმა გადაიტანოს სახელმწიფოს ეკონომიური კრიზისი, განახორციელეთ ეკონომიური თათბირის დადგენილებები. ამასთან ერთად საჭიროა მიექცეს ჯეროვანი ყურადღება იმ მუხლს ეკონომ. თათბირის დადგენილების, სადაც ნათქვამია „სახელმწიფო მოსამსახურენი, რომელნიც ბოროტ მოქმედებას ჩაიდენენ, იქნენ სასტიკათ დასჯილნი“. ასეთები მრავლათ არიან, მაგრამ, სამწუხაროთ, როგორც პრესა აღნიშნავდა ჩვენს სასამართლოს კანონში არსებობს, რომელიც საშუალებას აძლევენ, მიუხედავათ დიდი ბოროტმოქმედებებისა, ფულის და ქონების საშუალებებით თავდებ ქვეშ განთავისუფლდენ და შემდეგ სრულიად თავისუფლდებიან.

მუშები გაჭირვებულ მდგომარეობაში იმყოფებიან, საჭიროა საჩქარო დახმარება, როგორც კი ეს შესაძლებელია დაანახვე მათ, რომ [illegible] სასტიკათ ისინი, ვინც შემოესევა და დანგრევას უპირებს ჩვენს სახელმწიფოს, რომლის დასაცავათ მრავალი მუშების სისხლი დაღვრილა და დღესაც მათ დგანან საზღვარზე ლახვარი ჩასცენ მომხდურთ. დღეს, როცა მთელი საქართველოს გულ შემატკივარნი მშრომელნი ფეხზე დგანან და ყოველ გაჭირვებას ითმენენ, საჭიროა გადაჭრილი ნაბიჯი გადავდგათ და გავწმინდოთ თფილისი. მე მუშა გაჭირვებული ვითმენ ყოველივეს, მაგრამ საშინელი ბოღმა ტრიალდება ჩემს გულში, როცა ვხედავ ჩვენს გვერდით ჩვენი მოსისხლე მტერნი უკმაყოფილონი არიან ჩვენი შექმნილი წეს-წყობილებით და მაინც არ გვშორდებიან. ფლანგავენ და ანიავებენ ჩვენ დაგროვილ და სისხლით დაცულ სიმდიდრეს. კმარა მათი ამდენი პარპაში! საჭიროა რადიკალური ზომების მიღება. უკიდურეს შემთხვევაში მუშების გაჭირვებულ მდგომარეობას ეს უფრო [illegible]. ველით რადიკალურ ზომების მიღებას.

დ. ნიგოროშვილი.

პროვინცია

დ. ხობი (ზუგდიდის მაზრა) მთელ მაზრაში აღნიშნულ დაბას, ზუგდიდის მერე, დაწესებულებების სიმრავლით პირველი ადგილი უჭირავს. აქ არის: სამომრიგებლო სასამართლო, სახალხო სახლი, უმაღლეს დაწყებითი სასწავლებელი, საავადმყოფო, ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება, უბნის მილიციის უფროსის კანცელარია, სახალხო გვარდიის [illegible] შტაბი, სამკითხველო და სხვა დაწესებულებანი. არსებობს პარტიული კოლექტივი, კულტურული წრე და სცენის მოყვარეთა საზოგადოება. დაწესებულებებს რასაკვირველია ჰყავს თავისი უფროსები. ერთი თავგადადებული მომუშავეთაგანი იყო უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლის გამგე ბ ნ ვასილ ქობულია. მან თავის ერთგული მუშაობით საუკეთესოდ მოაწყო აღნიშნული სასწავლებელი. მისივე მუშაობამ დააყენა ფეხზე სახალხო სახლი, აგრეთვე დაარსა კულტურული წრე, სცენის მოყვარეთა საზოგადოება და სამკითხველო. წელს ოქტომბერს ის გადავიდა სად. აბაშაში. მის საპატივცემულოთ 17 ოქტომბერს ადგილობრივმა მცხოვრებლებმა გაუწყვეს სადილი. დილას ამავე დღისა ბ ნ ქობულია მოწაფეებმა და მასწავლებლებმა მიიწვიეს სკოლაში. აქ მასთან ჯგუფ ჯგუფად გადაიღეს სურათი. შემდეგ მოწაფეებმა უთხრეს გამოსალმებითი სიტყვები და სახსოვრად სასმისი უძღვნეს. ამის შემდეგ ხელში აიყვანეს და სახალხო სახლში მიიყვანეს. აქ იყო სადილი გამართული. სადილს დაესწრო ასამდე წევრი და აგრეთვე საგანგებოთ ჩამოსული, სამაზრო ერობის გამგეობის წევრი ბ-ნ ვ. ვეკუა. მეორე დღეს მასწავლებლებმა და მოწაფეებმა მატარებლით გააცილეს ის თავის ოჯახით სად. სენაკამდე.

„ცაცა“.

—

ხიდისთავის თემი (გურია) ეს თემი შესდგება 10 სოფლიდან. აქ არსებობს სხვადასხვა კულტურული დაწესებულებები: პირ. დაწყ. უმაღლესი სასწავლებელი, კოოპერატივი, აფთიაქი, სამკითხველო, თეატრი, საავადმყოფო, ფოსტა საფეიქრო და სხვა.

მდინარე გუბაზეულზე ხიდის კეთება ამ დღეებში დაიწყება. „ბალკები“ და სხვა საჭირო მასალა უკვე მიტანილია.

საბჭოს დადგენილებით თემის გამგეობამ უკვე ჩაიბარა საზოგადოების აფთიაქი. გამგეობამ შეისყიდა ამ თემში მოვაჭრე ლომინაძის წიგნის მაღაზია, გახსნა საკუთარი მაღაზია და დამატებით შეიძინა კიდევ 120,000 მან. წიგნები, რითაც საშუალება ეძლევათ მოსწავლეებს დაკლებულ ფასებში შეიძინონ ყოველ გვარი სამოსწავლო ნივთები.

წისქვილების მეპატრონეებს ევალება თავიანთ წისქვილებში გააკეთონ ხის სასწორი; ფუთ სიმინდზე ვალდებული არიან აიღონ არა უმეტესი 2 გირვანქისა. საბჭოსვე დადგენილებით ხიდისთავში ხორცით მოვაჭრე პირები ვალდებულნი არიან თემის სასარგებლოთ გადაიხადონ მსხვილ საქონელზე 100 მ., წვრილზე კი 50 მ. ყველა ამ დადგენილებათა სისრულეში მოყვანა ევალება თემის გამგეობას.

ეს ორი თვეა სისტემატიურათ წვიმს, ყურძენი სანახევროთ დაიკარგა. ყანები როგორც იქნა, დიდის გაჭირვებით აიღო ხალხმა. ეხლაც წვიმს და ყურძენის ერთი მესამედი მოუკრეფელია.

ამხ. სანდრო თეიოდორაძის ხელმძღვანელობით ეს ერთი თვეა, რაც გაიხსნა სახალხო უნივერსიტეტი. მეცადინეობა არის სპეციალურ საგნებში და საზოგადო თემებზედაც. მსმენელთა რიცხვი სამასს აღემატება. საჭიროა ყველა მოქალაქე ჩაეწეროს სახ. უნივერსიტეტში.

აქ არსებულ კოოპერატივ „თანხმობის“ გამგეობა ენერგიულად მუშაობს მიუხედავათ იმისა, რომ წევრთა რიცხვი 500 აღემატება და ძირითადი თანხა მხოლოდ ძველი საპაიო გადასახადით განისაზღვრება (7 მ.), კოოპერატივში მაინც მოიპოვება აუცილებელი საგნები: მარილი, წუმწუმა, ნავთი, საპონი, და სხვა, რაც მეტათ ხელმისაწვდომ ფასებში იყიდება. საჭიროა საზოგადო კრების მოწვევა და საპაიო გადასახადის გადიდება, რომ ამით მომავალში გამგეობამ მეტი საქონელი შეიძინოს.

რადიკალი.

რედაქტორი [illegible]

განცხადებანი

სპეციალისტი მასწავლებლები
ამზადებენ ქართულ და რუსულ საშუალო სასწავლებლის ყველა კლასებისათვის. მიხეილის ქუჩა № 124. მიღება 3—6 ს. (3108—1—1)

კერძო სამკურნალო
სპეციალურად ვენერიულ, საშარდე ორგანოების, სიფილისით და კანის სნეულებით ავადმყოფთათვის
ექიმ
ე. მ. მძინარიშვილისა
შეშხაპუნება „606“ და „914“.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე 9—2 ს. და საღ. 4—8 ს. მისამართი—კუთხე პლეხანოვის (მიხეილის) პროსპექტისა კირკის (კიროჩნი) ქუჩ. № 22. ტელეფ. 10—87. (28 დღ.)

ყოფილი 4 გიმნაზიის დამაარსებელი და გამგე მათემატიკის
მასწავლებელი **ი. მაჩაიძე**
ამზადებს ქართულ და რუსულ საშუალო სასწავლებლებში, 1, 2, 3, 4, 5, 6, 7 კლასში შესასვლელად. პლეხანოვის ქ. 25 („[illegible]“ ალექსის ქ კუთხიდან) ნახვა 9—12 ს. 2—4 ს. (3789—4—4)

ქ. გ. ვართანოვი
სპეციალურად კანისა და ვენერიულ სნეულება (სიფილისი „606“ და „914“ შეშხაპუნება). მიიღება: დილით 8—9 საათ. საღ. 5—7 საათ. ქალები 2—3 ს. სურამის ქ. № 9, ვაგზლის ქუჩის კუთხე რკინის გზის სამმართველოს პირდაპირ. (23—დღ.)

ექიმი
ა. ს. ვადაჭკორია
იღებს ქალისა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფებს დილ 12—2 ს. საღამოს 4—6 ს. ოლღის ქუჩა № 35. (18—დღ.)

ექიმი **მ. ა. შაჰრანი**
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების 4—5 კვირაობით [illegible]. [illegible] ოლღის ქ. № 33. (21 დღ.)

ექიმი
ა. ლევენ[illegible]
შინაგანი და ნერვიული ავადმყოფობანი (სპეც. ფილტვების, გულის და კუჭნაწლევების ავადმყ.) რენტგენის და ელექტრონული კაბინეტი. კრილოვის ქ. სახ. № 5, გოკიელოვისა, ბინა № 3, მიღება დილის 11—12 საათ. და საღ. 4—7 საათ. ტელეფონი 12—46. 12 დღ.

თვალის ექიმი
ზ. მ. ცხვედაძე
ავადმყოფების მიღება ყოველდღე 1 ს.—4 ს. იზმაილოვის ქუჩა № 11 მოსკოვის ქუჩიდან პირველი შესახვევი. (1—დღ.)

ექიმმა
ნიკოლოზ მახვილაძემ
განაახლა შინაგან სნეულებით ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე საღამოს 4—6 საათამდე. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის მახლობლად. ტრამვაი № 1, 2, 5 და 9 (3—დღ.)

ექიმი
გ. ი. ოქროპირიძე
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათამდის. [illegible] ქ. № 22, [illegible]

დოქტორი მედიცინისა
ვ. პ. მოსეშვილი
დაბრუნდა თფილისში და განაახლა შინაგან ორგანოთა და ნერვების სნეულებით ავადმყოფების მიღება საღამოს 4—8 საათამდე. გიორგის ქუჩა, № 5, ალექსანდრეს ბაღთან ქაშვეთის ეკლესიის ახლოს. (4—დღ.)

ექიმი
ი. ა. ტერ-ავაკუმოვი
გადავიდა კირკის ქუჩაზე № 49, მიხეილის პრ № 28. ვარანცოვის ძეგლის ახლოს და განაახლა ავადმყოფების მიღება. სპეციალურად სიფილისი, ვენერიული (მწვავე და ხრონიკული ტრიპერი) და კანის ავათმყ. „606“ და „914“ შეშხაპუნება. მიღება დილის 11—12 საათ. საღამოს 6—8. ქალების საღამოს 5—6 საათ. (13 დღ.)

ქირურგიული და ქალთა სნეულების
სავადმყოფო
სამშობიარო განყოფილებით ექიმის
ბოკერიასი
პლეხანოვის (მიხეილის) პროსპ. № 141, პრ-ქტიკოს აპოლის მახლობლად ტელეფ. № 5—97 დასაწოლ ავათმყოფებს და ფეხმძიმე ქალებს იღებენ ყოველ დროს სრული პანსიონით. (28—ნოემ.)

მედიცინის დოქტორი
ა. ა. მონსე
განაახლა მიღება ნერვიულ და შინაგან სნეულებიან ავადმყოფთა ბავშვების და დიდების. ელექტრო-რენტგენის კაბინეტი გიპნოზი. მიღება: დილის 10½—1 საათამდე, საღამოს 6—7 ს. კვირა დღის გარდა. მიხეილის პრ. № 111. ტელეფონი 13—42 (3—დღ.)

ექიმი
რეზო მაჩაბელი
კანისა და ვენერიული სნეულებანი (წამლობა ახალი და ძველი სუსუნატის) სიფილისი (606—914 შეშხაპუნება) ავადმყოფებს იღებს კაცებს 9—11 ს. დილ. და 6—8 ს. საღ. ქალებს 11—12 ს. დღის. მოსკოვის ქუჩა № 4, ზემელის აფთიაქის პირდაპირ. 12—დღ.

ექიმი
ნ. ა. არუთინოვი
სპეციალურათ სიფილისი (606 და 914) ვენერიული (ტრიპერი), სქესობრივი უძლურება ნდისკოპია (საშარდე მილის). ახალი-ბებუთოვის ქ. № 5. სასახლის უკან, პეტრე დიდის ქ. ზევით. (პარალელურად). მიღება დილით 9—11 ნაშ. ს საღ. 5—7 საათამდე. 13—დღ.

დოქტორი
გ. გ. მეგრაბიანცი
შინაგანი ავადმყოფობა—ფილტვები და გულისა. იღებს ახალს რენტგენ-ელექტრო კაბინეტში. გამოკვლევა და წამლობა სხივებით. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92, მიღება ყოველ დღე 9—12 ს. და საღამოს 6—8 საათამდე. 11 დღ.

კბილის ექიმი
ე. ტ. ლორის-მელიქოვი ჯიბლაძისა
ღებულობს კბილის ტკივილით ავათმყოფებს საღამოს 4—6 საათამდე, ანასტასიევის ქუჩა № 13, ტელეფონი 3—63

სამკურნალო
ელექტრონის, რენტგენის და სინათლის
მიხეილ ბედევანიშვილისა
დილისით 12—2 საათ., საღ. 6—8 საათ. არის სწოლები. ყორღანოვის ქ., 28, ტელეფ. 7—91 (1—დღ.)

ექიმი
ე. ი. კალანდაძე
ღებულობს შინაგანი ავათმყოფობით დილის 8—12 საათამდე, ვენერიულ[illegible] სიფილისით (წამ. „606“ და „914“), ბუშტის და საშარდის ავათ. 5—7 საათ. საღამ. გუნიბის ქ. № 6, მოსკოვის ქ. დასაწყისი, ზემელის აფთიაქთან ახლოს. ტელეფონი 18—95. (1—დღ.)

საკუთარი სტამბა ერთობის ქუჩა № 4